სამშაბათი, 1 თებერვალი 1905 წ.
წელიწადი 1877—1905 ოცდა-მეცხრე
სამშაბათი, 1 თებერვალი 1905 წ.

გაზეთის ფასი:

12	თვით	10 მ.	— კ.
11	„	9 „	50 „
10	„	8 „	75 „
9	„	8 „	— „
8	„	7 „	25 „
7	„	6 „	50 „
6	„	6 „	— „
5	„	5 „	50 „
4	„	4 „	75 „
3	„	3 „	50 „
2	„	2 „	75 „
1	„	1 „	50 „

ივერია

№ 13 ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 13

წლიურის ფასის ნაწილ-ნაწილად შემოტანის ვადა

1. ხელის მოწერის დროს—5 მ. და თიბათვის 1-ს—5 მ.
2. ხელის მოწერის დროს—4 მ., მარტის 1-ს— 3 მან. და მარიამობისთვის 1-ს—3 მ.
3. ხელის მოწერის დროს—3 მ., მარტის 1-ს—3 მ. თიბათვის 1-ს—2 მ. და ენკენისთვის 1-ს—2 მ.

ვინც ამ ვადაზედ ფულს არ შემოიტანს, გაზეთის გაგზავნა მოესპობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა
საჯარო ბიბლიოთეკა

ამ ნომერში ექვსი გვერდია

„ივერიის" რედაქცია გადავიდა

პუშკინის ქუჩაზედ, ტფ. საკრედიტო საზოგადოების სახლში, მესამე სართულში, თამამშევების ქარვასლის პირდაპირ, ნეიშელლერის სავაჭრო ფირმის გვერდით, ერევნის მოედნის მახლობლად,

ღიაა დილის 8 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე და საღამოს 5 სათიდგან 8 საათამდე.

ჩვენგან დამოუკიდებელ მიზეზისა გამო

გაზეთი „ივერია"

განახლებულის რედაქციით ჯერ-ჯერობით ვერ გამოდის. გაზეთი კიდევ რამდენისამე დღის განმავლობაში ძველის რედაქციითა და წინანდელის ზომისა უნდა გამოვიდეს.

ახალი განცხადება

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

ფასი 10 მანეთი ერთის წლით

„ივერია"

ცალკე ნომერი 3 კაპეიკი

წელიწადი ოცდა-მეცხრე

გამოვა ყოველ დღე, ორშაბათობითაც

განახლებულის რედაქციით და ახალ თანამშრომელთა მონაწილეობით

გაზეთის ფორმატი გადიდებული იქნება

ამასთან წლიური ხელის მომწერლები მიიღებენ წლის განმავლობაში

პრემიად 12 წიგნს

შემდეგის საერთო სათაურით: „ივერიის ბიბლიოთეკა". ამ წიგნებში მოთავსებული: იქნება: ბელლეტრისტიული, პუბლიცისტიური, ეკონომიური და ისტორიული წერილები, უმთავრესად საქართველოს ცხოვრების შესახებ, აგრეთვე ოჯახში გამოსადეგი ცნობები დარიგებანი და სხვანი.

როგორც თვით გაზეთში, ისე საპრემიო წიგნებშიაც იქნება ხოლმე **სურათები** და სხვა-და-სხვა **ილიუსტრაციები**.

გაზეთის წლიური ფასი რჩება იგივე, რომლის გადახდაც შეიძლება ნაწილ-ნაწილადაც: წლის დამდეგს 4 მან., 1 მაისს 3 მან. და 1 აგვისტოს 3 მან.; ვინც ნახევარ წლით ან თვიურად გამოიწერს, უნდა შემოიტანოს თვეში თითო მანეთი.

სახალხო სკოლების მასწავლებლებს, თვით სკოლებსა და სახალხო სამკითხველოებს გაზეთი პრემიებითურთ დაუთმობათ 7 მან. ან ნახევარის წლით 4 მან., ამ შეღავათიან ხელის მომწერთაც შეუძლიანთ ნაწილ-ნაწილად გადაიხადონ ხვედრი ფული: ყოველთვე თითო მანეთი, ვიდრე სრული შემოსატანი შესრულდებოდეს.

საფოსტო ადრესი: Тифлисъ, редакція „Иверія"

პ ი რ ვ ე ლ ი

კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ავადმყოფთ იღებენ ექიმები ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დ ი ლ ა ო ბ ი თ:

ყ. მ. ჩიქოვანი.—9 საათიდგან 10 საათამდე ოვალისა, შინაგანისა და ნერვების ავადმყოფო-
ისა.

მ. ზ. ავეტისიანცი. 11—12 საათამდე—კანი-
ა, და ვენერიულ ხირურგიულ ავადმყოფობისა.

ზ. ი. ბაზანასოვი—დილის 11—12 საათ. ქა-
ოისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

კ. ი. გძელიშვილი—12—1 საათ. ყელისა, ყურისა და ცხვირის სატკივრისა.

გ. ა. თარხანოვი—1—1$\frac{1}{2}$ საათ, შინაგანის და ბავშვებისა.

ა. პ. კარაპეტიანცი. 1—1$\frac{1}{2}$ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

გ. სოლოლაშვილი—9—11 საათამდე. კბილების ავადმყოფობანი.

ექიმი ქალი **ა. ე. შჩერბინინა**—1$\frac{1}{2}$—2 საათ. ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.

ს ა ღ ა მ ო ო ბ ი თ:

გ. ა. თარხანოვი—7$\frac{1}{2}$—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

პ. ა. არდაზიანი—აწარმოებს მიკრო-ქიმიურ და ბაქტერიოსკოპიულს გამოკვლევას 5—7 საათ.

ს. ტ. არვანიტაკი 11—1 ს. უკეთებს სახლში და მსურველთ მასაჟს, აუცრის ყვავილს, გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის — მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი, დოქტორი **კ. გძელიშვილი.**

Первая частная лѣчебница д-ра **Навасардіана.** Тифлисъ, противъ памятн. Воронцову. წლ.

წარმოდგენა № 15 ტელეფონი № 63
აბონემ. რიცხვში.

სახაზინო თეატრი.

ხუთშაბათს, 3 თებერვალს 1905 წ.

სვიმონიძის საბენეფისოდ

ქართულ დრამატიულ დასის მიერ წარმოდგენილი იქნება
პირველად ტფილისში ახალი პიესა

როზა ბერნდ

დრ. 5 მოქმ. ჰ. ჰაუპტმანისა, თარ. ვ. გუნიასი

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი ტასო აბაშიძე, ნ. გაბუნია-ცაგარლისა, ნებიერიძისა, ნ. ჩხეიძე. ნ. ჯავახიშვილი; ბ-ნნი: ვ. გუნია, ს. სვიმონიძე, ზ. საფაროვი. კ. შათირიშვილი, ვ. შალიკაშვილი და სხვანი.

ადგილების ფასი ჩვეულებრივი. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

მზადდება წარმოსადგენად: „პეპელათა ბრძოლა", „რუი ბლაზი".

პიესას დასდგამს **ვ. გუნია.**

ქართველნი მკურნალნი.

ალექსი-მესხიშვილი, სარდიონ სარდიონის-ძე. იღებს სადოსტაქრო ავადმყოფებსა და საშარდე-სქესობრივ ორგანოებით დასნეულებულთ ყოველ-დღე, ნაშუადღევის 5 საათიდან 6-მდე. ოლგას ქუჩა, № 15

დიასამიძე ალექსანდრე—დოქტ, მელიქოვისა და ბარონის ქუჩის კუთხე, ფოსტის პირდაპირ მესხიშვილის სახლი, № 18. იღებს ავადმყოფებს დილით—9—11 და საღამოთი 6—8-დე.

კბილის ექიმი ნ. ტყეშელაშვილი იღებს ავადმყოფებს 9 საათიდან საღამოს 5 საათ., ოლგას ქუჩა, № 31.

ვ. ს. მუსხელაშვილი—გორჩნისა და დიდის მთავრის ქუჩების კუთხე, სახლი სვანიშვილისა, № 11. მიიღებს თვალით ავადმყოფებს: დილით 12—2 ს., საღამოთი 6—7 ს., გარდა სამშაბათისა.

ვაჩნაძე სპირიდონ—პეტერბურგის ქუჩა, საკუთარი სახლი.

გძელიშვილი კონსტანტინე—ელისაბედის ქუჩა, სახლი მილოვისა, № 5.

გაბაშვილი გრიგოლ—კოჩუბეის ქუჩა, № 19.

ოფიციალური ცნობები

ოფიციალურ გაზეთ „კავკაზ"-ში დაბეჭდილია შემდეგი ცნობები მუშათა არეულობისა და გაფიცვის თაობაზედ.

1) ბაქოს მუშებს შორის გასულის წლის დეკემბერში დაწყებულმა მუშათა მოძრაობამ გავლენა იქონია ბათუმის მუშებზედაც და იქაც იჩინა თავი მუშათა გაფიცვამ. ბაქოდგან ჩამოსულმა აგიტატორებმა 20 დეკემბერს დილით ხელი აალებინეს მუშაობაზედ როტშილდისა და მანთაშევის ქარხნების მუშებს, 300—400 კაცამდე. ესენი ჯგუფ-ჯგუფად შეგროვდნენ და ბარცხანაზედ გადებულ ხიდზედ, სა[illegible]ნლის სადგურის მახლობლად, გაშალეს რამდენიმე წითელი დროშები სარევოლიუციო ზედწარწერებით, დაიწყეს რევოლვერების ჰაერში სროლა და გაემართნენ რკინის გზის ლიანდაგით დეპოსაკენ, თან გზაში პროკლამაციებსა ჰყრიდნენ. 10 წუთის შემდეგ, როდესაც დაინახეს მოახლოვებული ყაზახები, ბრბო გაიფანტა ისე, რომ წინააღმდეგობა არ გაუწევია. რაიმე განსაკუთრებულ ღონისძიებათა მიღება საჭირო არ გამხდარა და მეორე დღეს ყველა ქარხნის მუშებმა წყნარად დაიწყეს მუშაობა, მაგრამ მღელვარება მუშათა შორის არ დამცხრალა.

17 იანვარს, დილით, ბათუმის გემების მისადგომ სადგურზედ (Батумъ-пристань) გაჩნდა მუშათა ბრბო, 500 კაცამდე, და ხელი აალებინა მუშაობაზედ რკინის გზისა, რუსისა და რუსეთის სანავოსნო საზოგადოებათა ყველა მუშებს; თან ემუქრებოდნენ,—თუ თავს არ დაანებებთ მუშაობას, მოგკლავთო. ყარაულები დასტოვეს იქვე ბარგების საყარაულოდ. არეულობა არ მომხდარა. გასაგზავნ-გამოსაგზავნ საქონლის ოპერაციები დროებით შესწყდა. გაფიცულნი ქირის მომატებას თხოულობენ. იმავე დღეს გაიფიცა სადგურ რიონის ბუფეტის მოსამსახურენი; ესენიც ქირის მომატებას თხოულობდნენ ერთ-ნახევარით მეტს, რასაც აქამდე იღებდნენ, და საცხოვრებელ ბინას. სადგურის უფროსი მოელაპარაკა გაფიცულთ და დაარიგა, რის შემდეგაც ბუფეტის მსახურთ იმუშავეს მხოლოდ 20 იანვრამდე; მეორე დღეს, 18 იანვარს, გაიფიცნენ რემონტის ყველა მუშები, აგრეთვე ლიანდაგისა და გადასასვლელ გზის ყველა დარაჯები ბათუმის საგზაო ნაწილისა (ბათუმიდგან საჯევახომდე). ამათაც იმიტომ გაანებეს მუშაობას თავი, რომ ქირის მომატებას თხოულობენ. 19 იანვარს ბათუმის ქარხნებში მხოლოდ აქა-იქ თუ მუშაობდა თითო-ოროლა კაცი. რკინის გზის ყველა კანტორის მოხელეებმა და მწონავებმა, აგრეთვე სხვა დაწესებულებათა დაბალ მოხელეებმა, მიატოვეს საქმე, რადგანაც უსახელო წერილები მიეღოთ და სიკვდილს ემუქრებოდნენ თუ არ გაიფიცებოდნენ. ბირჟაზედ პოლიციის მოთხოვნილებით გამოსულნი მეეტლენიც სახლში დაბრუნდნენ გაფიცულთა მუქარის შიშით.

ტფილისსაც მოედვა გაფიცვა, რომელიც დაიწყო 18 იანვარს, როდესაც მუშაობა შესწყვიტა ამიერ-კავკასიის რკინის გზათა უმთავრესმა სახელოსნოებმა; ამას მოჰყვა მუშაობის შეწყვეტა სამექანიკო ქარხნებსა და ყველა კერძო სტამბებში. სულ გაიფიცა 3,000—4,000 კაცამდე მუშა. გაზეთები, ოფიციალურ „კავკაზ"-ს გარდა, არც ერთი არ გამოსულა. 19 იანვარს გაფიცულთ შეუერთდნენ ადელხანოვის ტყავის ფაბრიკის ყველა ცეხის მუშები და თამამშევების ქარვასლაში მოვაჭრეთა ყველა ნოქრები. სულ ამ დღესაც აგრეთვე 4,000 კაცამდე გაიფიცა.

ნაშუადღევის 3 საათზედ დიდუბეში, ბათუმის მოედანზედ, შეიკრიბნენ 2,000 კაცამდე რკინის გზის სახელოსნოების მუშები, რომელთაც გამოუცხადეს უბნის ბოქაულს სურვილი დეპუტატთა არჩევისა; დეპუტატებს უნდა განეცხადებინათ თავიანთი საჭიროებანი გუბერნატორისათვის, და სთხოვეს თავმდებობა, რომ დეპუტატებს ხელი არავინ ახლოსო. მუშათა ეს სურვილი დაკმაყოფილებულ იქმნა იმ პირობით, რომ დეპუტატებმა გუბერნატორს მხოლოდ თავიანთი ეკონომიური საჭიროებანი უნდა განუცხადონო და მხოლოდ ამ განსაზღვრულ ფარგალში უნდა განიხილონ მუშათა საქმეო. მაშინ მუშებმა დეპუტატების არჩევა აღარ ისურვეს და მოითხოვეს წინა დღით დაპატიმრებულ ამხანაგთა განთავისუფლება. 20 იანვარს დილით შესწყდა ტფილისში ელექტრონის ტრამვაისა და ცხენის რკინის გზის ვაგონების მოძრაობა, მაგრამ მიღებულ ღონისძიებით, ნაშუადღევის 1-ლ საათზედ, ზოგან აღადგინეს ვაგონების მიმოსვლა ცხენებით; ვაგონებს ჯარის კაცები იცავდნენ.

2) 21 იანვარს, საღამოზე ქალ. ტფილისში გაფიცვის აგიტატორები ენერგიულად არიგებდნენ პროკლამაციებს მთავრობის საწინააღმდეგო შინაარსით. პოლიციამ რამდენიმე დამნაშავე დააპატიმრა. 22 იანვარს გაფიცვა გაგრძელდა, წეს-რიგი კი არ დარღვეულა.

კვირას, 23 იანვარს, შემჩნეულ იქმნა, რომ გოლოვინის პროსპექტსა. ერევნის მოედანსა და სალდათის ბაზარში მუშები თავს იყრიდნენ. 12 საათზე თეატრალნის პერეულკიდან სახაზინო თეატრის გვერდით უცებ მუშები კაცვიდნენ. იმათ დანარჩენი მუშებიც შეუერთდნენ. მანიფესტანტებმა წითელი დროშა ააფრიალეს, ყველა მხრივ პროკლამაციების ფანტვა დაიწყეს და ამასთან რევოლვერები დაუშინეს იმ პოლიციელთ, რომელნიც მედროშეს მისცვივდნენ. ერთი პოლიციელი, რომელმაც მედროშეს დროშა გამოსტაცა, ორგან მძიმედ დაიჭრა და წაიქცა. დროშა მეორე პოლიციელმა გამოსტაცა, მაგრამ ისიც დაჭრილ იქმნა და წაიქცა. იმას მესამე პოლიციელი მიეშველა და დროშა გამოართვა. მესამე პოლიციელიც ხანჯლით დაიჭრა. უწესოებამ 5 წუთს გასტანა. მანიფესტანტები, რომელნიც შეიარაღებულნი იყვნენ, პოლიციელებმა და საპოლიციო დარაჯებმა გაჰფანტეს. პოლიციამ 30 მანიფესტანტი დაატუსაღა და ორი პარკი პროკლამაცია წაართვა. ამ დროს მოვიდნენ ყაზახები და ჯარის კაცები, მაგრამ იარაღი არ უხმარიათ. ცხენოსან პოლიციისა და ყაზახებისაგან დევნილი მანიფესტანტთა ერთი ჯგუფი ბარიათინსკის ქუჩის ბოლოს ერთ სახლის ეზოში შეცვივდა და კარები ჩაიკეტა. პოლიცია მეორე კარებით შევიდა ეზოში. ამ დროს ერთს საპოლიციო დარაჯს მუშები თავს დაეცნენ, თავში ხანჯლით რამდენსამე ალაგას დასჭრეს და წააქციეს. ეს მუშები ეზოდან გამოდევნილ იქმნენ. მანიფესტანტებს ხელ-მეორედ უნდოდათ ბაზრის მოედანზე შეკრებულიყვნენ, მაგრამ ვერ მოახერხეს.

დაშავებულ მანიფესტანტთა რიცხვი ჯერ-ჯერობით დანამდვილებით არ არის გამოკვლეული. საავადმყოფოებში 10 დაჭრილი მუშა მიიყვანეს. ერთი მუშა მძიმედ არის დაჭრილი. დაჭრილია ოთხი პოლიციელი, მათ შორის ერთი მძიმედ არის დაჭრილი.

უკანასკნელ ოთხის დღის განმავლობაში რკინის გზის გაყოლებაზე გაფიცვა თან-და-თან გაძლიერდა.

22 იანვარს გაიფიცნენ ყველა მეისრენი და დარაჯნი ქვალონისა, ნიგოითისა, საჯევახოსა, კოპიტნარისა, აბაშისა და ქალადიდის სადგურებზე. იმავ დღეს ფოთში ნავთსადგურის მუშების გარდა გაიფიცნენ შავის ქვის მუშები; 23 იანვარს, გაიფიცნენ ორთქლმატარებლების მემანქანენი, რომელთაც თავიანთ ორთქლმატარებლებს შუა გზასა და დეპოებში დაანებეს თავი.

22 იანვარს სად. სამტრედიის მახლობლად ბოროტ-გამზრახველებმა რკინის გზის ლიანდაგი გააფუჭეს, რის გამოც ბათუმში მიმავალი მატარებელი, რომელსაც კურინის პოლკის რაზმი მიჰყავდა, გზას გადასცდა ტენდერითა და 10 ვაგონით, რომელიც შავის ქვით იყო დატვირთული. არავინ არ დაშავებულა.

3) უკანასკნელ დღეებში ტფილისში გაფიცვამ ყასბებშიაც, იჩინა თავი, ხოლო 25 იანვარს საღამოთი გაიფიცნენ ფარმაცევტები და აფთექის შეგირდები იმ აზრით, რომ აფთექები დახურულიყო. იმათგან, ვინც ისინი წააქეზა მუშაობაზედ თავის დასანებებლად, დააპატიმრეს 12 კაცი. 24 იანვარს, დილის 7 საათზედ, გაფიცულთა მუქარის შიშით მუშაობაზედ ხელი აიღეს და თავ-თავიანთს სახლში დაბრუნდნენ ბათუმის რკინის გზის დეპოს მდაბიო მოსამსახურენი, ოსტატები და მუშები. 25 იანვარს ტყიბულაში გაიფიცნენ ქვა-ნახშირის მღვიმე-მადაროების მუშები; სადგ. ყვირილისა და შორაპანის დეპოებში გაიფიცნენ მუშები; შორაპანში გაიფიცნენ აგრეთვე რემონტის თვიური მუშები, ბარგის მზიდავები და ვაგონების დამტვირთავები, რომელნიც წყნარად წავიდ-წამოვიდნენ. ამავე დღეს სადგ. განჯაში გაიფიცნენ რკინის გზის ადგილობრივ დეპოს მუშები, 200 კაცზედ მეტი, და წარუდგინეს, სადაც ჯერ არს, მოთხოვნილებანი მათის ნივთიერ მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ. საღამოთი მუშაობაზედ ხელი აიღეს, გაფიცულთა მუქარისა და ძალადობის შიშით რკინის გზის დანარჩენმა მდაბიო აგენტებმა. 26 იანვარს გაფიცვა მოედვა ჭიათურასაც. 28 იანვარს, დილით, ყვირილაში გაფიცულთა ბრბომ მოინდომა მანიფესტაციის მოხდენა, მაგრამ დაიწყეს თუ არა ქუჩებში დენა, ადგილობრივმა

პოლიციის სტრაჟნიკმა, რომელსაც შეტაკების დროს სცემა ბრბომ, ორჯერ ისროლა თოფი; ერთი მანიფესტანტთაგანი მძიმედ დაჭრილი აღმოჩნდა. ბრბო გაიფანტა. 28 იანვარს, ღამით, სადგურ ლანჩხუთის მახლობლად ერთ-ერთ ხიდზედ შეამჩნიეს, რომ გზა გაფუჭებული იყო. ერთი რელსი აელოთ და შპალები დაეჩეხათ. გზა დაუყოვნებლივ შეაკეთეს. 26 იანვრიდგან ბაქოში ხელახლად დაიწყეს ყველა კერძო სტამბების მუშებმა გაფიცვა. ამიტომ ადგილობრივი გაზეთები ვეღარ გამოდის. 28 იანვრიდგან სტამბის გაფიცულ მუშებს მიემატა ორის ქარხნის მუშები; უწესოება არ მომხდარა. ბათუმში 25 იანვარს მუშაობა შესწყდა ყველა ქარხნებში; დუქნები და მაღაზიები პოლიციის ღონისძიებით გააღეს; მეეტლენი აღარ გამოვიდნენ ბირჟაზედ. 26 იანვარს მაღაზიები და დუქნები ყველგან გააღეს პოლიციის დახმარებით და ზოგიერთი მეეტლენიც გამოვიდნენ ბირჟაზედ. ერთს გემზედ რუსმა მუშებმა, რომელთაც ჯარის კაცები იცავდნენ, განაახლეს მუშაობა. ამავე დღეს, საღამოს 6 საათზედ, სამი მუშა მიუახლოვდა უფროსს პოლიციელს (გოროდოვოი) და მოჰკლა. მკვლელნი გაიქცნენ. 28 იანვარს მუშაობაზედ ხელი აიღეს კერძო კაცთა და სასტუმროების მოსამსახურეებმა. ამავე დღეს ვიღაც ბოროტ-განმზრახველებმა მოჰკლეს რკინის გზის კონდუქტორი იუხინჩუკი.

ქუთაისში არეულობა დაიწყო 19 იანვარს, როცა საღამოს 6 საათზედ ქალაქის ბულვარიდგან შინ მიმავალ ბრბოს (ბულვარზედ არეულობის წინად მარხილებით დასეირნობდნენ და თოვლის გუნდას თამაშობდნენ) გამოეყო ახალგაზდათა ჯგუფი, ასე 100 კაცამდე, რომელთაც დაიწყეს „მარსელიეზას“ სიმღერა და სტვენა-ყიჟინით გაემართნენ გიმნაზიის ქუჩისაკენ, მოუხვიეს მიხეილის ქუჩაზედ, ქალაქის გამგეობის მახლობლად, პასსაჟისაკენ; აქ მანიფესტანტთა ბრბოს დაუხვდნენ პოლიციელები; ბრბომ შეუხვია „მწვანე ბაზრისაკენ“, გადავიდა „ზარეჩნი“ ნაწილში, სადაც პოლიციელებმა საჩქაროდ გაჰფანტა მანიფესტანტები; გზაში მანიფესტანტებმა ჩაამტვრიეს ფანჯრები მაღაზიებისა, თეატრისა, ქალაქის გამგეობისა, სავაჟო გიმნაზიისა და რელიგიონის აფთექისა; დაამსხვრიეს აგრედვე ქუჩის ფარნები. დააპატიმრეს 7 მანიფესტანტი. მეორე დღესაც მოინდომა ამდენმავე ბრბომ უწესოების მოხდენა, მაგრამ სასტუმრო «როსსიას» მახლობლად მზად მყოფმა სტრაჟნიკებმა საჩქაროდ გაჰფანტეს ბრბო, რომელმაც მხოლოდ რამდენიმე ფანარი დაამტვრია. მოხდა შეტაკება, რომლის დროსაც მსუბუქად დაიჭრა თავში რევოლვერის ტყვიით ერთი პოლიციელი. დააპატიმრეს 40 კაცი. დამნაშავენი პასუხის გებაში იქმნებიან მიცემულნი. 25 იანვარს ქუთაისში ხელახლა განმეორდა არეულობა, მაგრამ პოლიციის მიერ მიღებულ ღონისძიებით დაუყოვნებლივ გაჰფანტეს არეულობის მოთავენი.

ომის ამბები

დეპეშები და წერილები.

რუსეთ იაპონიის ომი ერთის წლის განმავლობაში.

«26 იანვარს შესრულდა ერთი წელიწადი, რაც ჩემულპოს ნავთსადგურში «კორეეცმა» იაპონიის ნაღმოსანთ ზარბაზანი დაუშინა. ამ წამიდან რუსეთ-იაპონიის ომი დაიწყო. ეხლანდელი ომი «ჩრდილოეთის ომის»-შემდეგ (1700—1721 წ.) რუსეთისთვის ყველა ომზე უბედური და სამარცხვინო იყო. შარშანდლამდე რუსეთის ისტორიაში საიმპერატორო პერიოდის დროს არც ერთი ისეთი ომი არ ყოფილა, რომლის დროსაც რუსეთი ასე მრავალჯერ და საშინლად დამარცხებულიყო და მოლოდინი და იმედი გასცრუებოდა. საზღვაო ომი ეხლანდელ ბრძოლაში ტრაფალგარის შემდეგ რუსეთისათვის საშინელის მარცხით გათავდა: რუსეთის ფლოტი შორეულ აღმოსავლეთში სულ მთლად განადგურდა და დაიღუპა. თუმცა 27 იანვარს რუსეთის ფლოტს დიდი მარცხი მოუვიდა, მაგრამ ამისდა მიუხედავად ომის დასაწყისს რუსეთის ფლოტი გაცილებით უფრო ძლიერი იყო იაპონიისაზე. დიდ ოკეანესი და ბალტიის ფლოტი ერთად აღებული გაცილებით ძლიერი იყო ამომავალ მზის ქვეყნის ფლოტზე, მხოლოდ იმ განსხვავებით კი, რომ ეს ორი ფლოტი ერთმანერთს დაშორებული იყო. სწორედ ეს სიძლიერე იყო მიზეზი რუსეთის დამარცხებისა, რადგან იმ თავიდანვე რუსებს გულ უზრუნველად სწამდათ თავიანთი გამარჯვება და მხოლოდ იმაზე-ღა ოცნებობდნენ, რომ როგორმე რუსეთის ჯარი იაპონიაში გადაეყვანათ და ომი იქ გაეჩაღებინათ. მაგრამ საქმეც იმაშია, რომ ამ გამარჯვებისათვის რუსეთმა ხელიც არ გაანძრია, ანუ, სწორედ რომ ვსთქვათ, ყოველთვის და ყოველგან იგვიანებდა. რუსეთმა ვერ მოახერხა და ბალტიის ესკადრა შორეულ აღმოსავლეთის ფლოტს დროზე ვერ შეუერთდა და 40 დღის სავალი გზა ვერ დასძლია. ომის დასაწყისს დიდი იმედი ჰქონდათ ადმ. ვირენიუსის რაზმისა, რომელსაც რუსეთისა და იაპონიის ფლოტი უნდა გაეთანასწორებინა, ანაც, უკედ რომ ვსთქვათ, რუსეთის ფლოტისათვის უპირატესობა უნდა მოეპოვებინა. მაგრამ ვირენიუსის რაზმი ხუთის თვის მგზავრობის შემდეგ პორტ-არტურის მაგივრად უკანვე დაბრუნდა. მაკაროვის დაღუპვის შემდეგ დაიწყო როჟესტვენსკის ესკადრის მზადება, რომელსაც პორტ-არტური უნდა დაეხსნა და იაპონიის ფლოტიც უნდა გაენადგურებინა. ამის შემდეგ, როგორც რუსი შოვინისტები ოცნებობდნენ, კუროპატკინი პირდაპირ ტოკიოსაკენ უნდა წასულიყო. ეს ესკადრა 8 თვეს ემზადებოდა და 4 თვის სიარულის შემდეგ მხოლოდ მადაგასკარს მიაღწია. ამ დროს რუსეთის ფლოტი პორტ-არტურში იაპონელებმა გაანადგურეს კიდეგაც. როჟესტვენსკის ესკადრა კუს ნაბიჯით მიდიოდა (საათში 5 ვერსს გადიოდა), რადგან რიღასთვისაც თან მრავალ ნაღმოსნებსა და ძველსა და უვარგისს გემებს მიათრევდა.

რუსებს დიდი იმედი ჰქონდათ (ეხლაც აქვთ) საკრეისერო ომისა. იაპონიის ფლოტის დასუსტების მაგივრად რუსეთმა თავის საკრეისერო რაზმი დაჰკარგა (დარჩა მხოლოდ ერთი კრეისერი—„როსსია“ ვლადივოსტოკში). საკრეისერო ომი კი, რომელმაც კინაღამ ინგლისი და რუსეთი არ გადაჰკიდა, იმით გათავდა, რომ რუსეთმა ძალა უნებურად კონტრაბანდით დაჭერილი გემები უკანვე დაუბრუნა და ინდოეთისა და ატლანტიის ოკეანეში საკრეისერო ომზე უარი განაცხადა. მერე რამდენნაირი იმედი არ გაცრუვდა ამ წლის განმავლობაში! ოცნებობდნენ წყლის ქვეშ მავალ ნავებზედაც, ბენზინის ნავებზედაც, რომელსაც ტოგოს უშველებელი ჯავშნოსნები უნდა ჩაეძირა, ნისლსა და ქარ-ბუქზე, რომელსაც თითქმის მთელის წლის განმავლობაში ტოგოს ესკადრა ზღვაში არ უნდა გაეშვა, იაპონელთა ზარბაზნებისა და გემების გაფუჭებაზე და სხ. და სხ.

საზღვაო საქმის მშვენიერი მცოდნე კაპიტანი კლადოც ამტკიცებდა, რომ იაპონიის ფლოტი ეხლა უფრო ძლიერია, ვიდრე ომის დასაწყისს იყოო. იაპონელებმა თავიანთ გემებიდან ზარბაზნებიცა და ქვაბებიც გადმოიღეს და ახლები ჩაუდგეს. იაპონიის ზარალი შედარებით ძალიან მცირეა და საზოგადოდ იაპონიის ფლოტს ეხლა გაცილებით უფრო ადვილი საქმე აქვს, ვიდრე ომის დასაწყისს ჰქონდა. ტოგოს დასამარცხებლად, რომელსაც 13 ჯავშნოსანი და ჯავშნიანი კრეისერი აქვს, რუსეთმა მთელი ბალტიის ფლოტი უნდა გაჰგზავნოს. საზოგადოდ რუსეთის საქმე ისე ცუდად არის, რომ ზოგი შორს მჭვრეტელი პირდაპირ ამბობს: იაპონიის დამარცხება რუსეთს შეუძლიან მხოლოდ რამდენსამე წლის შემდეგ, ე. ი. მაშინ, როცა ახალ ფლოტს გაიჩენსო. ხმა დადის, ამ ფლოტის ასაშენებლად რუსეთის მთავრობამ 400 მილიონი მანეთი გადასდოო. ამ ფულით უნდა აშენდეს 6—8 ჯავშნოსანი, 4—6 კრეისერი, რამდენიმე ათი „ნოვიკ“-ის მაგვარი კრეისერი და ურიცხვი ნაღმოსანიო. ამ გემების აშენება 4-5 წელზე ადრე არ შეიძლება იმ შემთხვევაშიაც კი, თუ ეს გემები საზღვარ-გარედ შეუკვეთეს. შეუძლებელია, რომ ეხლანდელმა ომმა იმ დრომდე გასტანოს. გარდა ამისა, იაპონიასაც ხომ არა სძინავს. იაპონიაში შენდება სამი ჯავშნიანი კრეისერი, ინგლისში იაპონიისათვის აშენებენ და ამის გარდა ამ ახლო ხანში იაპონიაააშენებს სამს უზარმაზარ ჯავშნოსანს (ერთი იქნება 19,000 ტონიანი, ორიც—16,000 ტონიანი), ერთს ჯავშნიან კრეისერს (12,000 ტონიანი) და ორს პალუბა-ჯავშნიან კრეისერს (5,000 ტონიანი). თუ ეს განზრახვა აასრულეს, მიკადოს ფლოტში იქმნება 10 ჯავშნოსანი, 12 დიდ პალუბა ჯავშნიანი კრეისერი, 8 დიდი და 11 პატარა ჯავშნიანი კრეისერი, 4 სანაპირო ჯავშნიანი და ორი ჯავშნიანი კანონერკა, სულ 47 ჯავშნიანი გემი. სხვანაირად რომ ვსთქვათ, იაპონია თავის ფლოტს გააორკეცებს. თუ იაპონელებმა მოახერხეს და პორტ-არტურში ჩაძირული რუსების გემები ამოიღეს და შეაკეთეს (სამი ჯავშნიანი და ორი კრეისერი) მაშინ იაპონიას ექნება 52 ჯავშნიანი გემი. ამ ფლოტით იაპონია დიდ ოკეანეს დიდის ხნით ჩაიგდებს ხელში. ომის პირველმა წელმა რუსეთს ძნელი საქმე გაუჩინა,—რუსეთი როგორმე უნდა გაბატონდეს ზღვაზედ. ნეტა რას მოუტანს რუსეთს ომის მეორე (1905) წელი?

(რ. ვ.)

ახალი ამბავი

მკითხველთადმი. მოვალედ ვრაცხთ ვაცნობოთ მკითხველთ, რომ გაზეთი „ივერია“, როგორც სხვა ადგილობრივი გაზეთები, მუშათა საერთო გაფიცვის გამო, დღემდე ვერ გამოვიდა. ამის შემდეგ კი თავ-თავის დროზედ გამოვა. ამიტომ რედაქცია ბოდიშს იხდის მკითხველთა წინაშე.

⁂ **საგანგებო კრება ქალაქის საბჭოსი,** რომელიც შაბათს უნდა მომხდარიყო ხალხისა და პრესის წარმომადგენელთა დაუსწრებლად, აღარ შესდგა, რადგანაც ხალხი დაჟინებითა თხოულობდა კრებაზედ დასწრებას. ამ კრებას უნდა განეხილა ტფილისის მუშათა ყოფა-მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ საკითხი.

⁂ **სამეურნეო საზოგადოების საბჭოს** კრება დანიშნულია დღეს, 1 თებერვალს, სამეურნეო საზოგადოების სადგომში.

⁂ **პოლიციის განკარგულებით,** ყასბებს ნება მიეცათ დროებით საქონელი ქალაქის საყასბოს გარდა სხვაგანაც დაჰკლან.

რუსეთი

როგორც მკითხველებმა უწყიან, შავის ზღვის პირის გუბერნატორი გენერალ მაიორი ევგ. ნიკ. ვოლკოვი, უმაღლესის განკარგულებით, დაინიშნა მოსკოვის ქალაქის უფროსად.

ნოვოროსსიკის გაზეთი „ჩერნომორსკოე პობერეჟიე“ აგვიწერს, თუ როგორ გააცილეს ქალაქის საბჭოს ხმოსნებმა და მთელმა გამგეობამ თავიანთ გუბერნატორად ნამყოფი.

ევ. ნიკ. ვოლკოვსა და მისს მეუღლეს გაუმართეს ქალაქის გამგეობის დარბაზში გამოსათხოვარი ვახშამი, რომელზედაც მრავალი სიტყვა წარმოითქვა. სხვათა შორის, გრძნობით აღსავსე სიტყვა წარმოსთქვა ნოვოროსსიისკის საბჭოს ხმოსანმა ბ-ნმა ი. ნ. ასკელბანდმა, რომელმაც იქიდგან დაიწყო, რომ ამ ჟამად რუსეთი მეტად მძიმე და უნუგეშო მდგომარეობაშიაო. ორატორმა სთქვა: „ჩვენ მოწამენი ვართ, თუ რა ჰხდება ახლა სატახტო ქალაქებში—პეტერბურგსა და მოსკოვში—აგრედვე მრავალს პროვინციებშიაც. აი, ამნაირ მდგომარეობაში მოგიხდებათ,—მიჰმართა ბ-ნ ვოლკოვს,—შეტაკება ხალხის სხვა და სხვა ჯგუფთან. მაგრამ ამ ჯგუფებში ურევია ერთი ელემენტი, რომელზედაც მსურს მოგახსენოთ ორიოდე სიტყვა. ეს ჯგუფია—ახალგაზდობა, გატაცებული, მღელვარე, მაგრამ ყოვლად პატიოსანი თავის მისწრაფებითა და აზრებით. სატახტო ქალაქებში ხომ აურაცხელია ახალგაზდები, ჩამოსულნი რუსეთის სხვადასხვა შორეულ კუთხეებიდგან. მრავალ დედათა და მამათა გული ჯავრისა და ფიქრისაგან უზომოდ სცემს,—ნეტა ვიცოდე, როგორ არიან ჩემი ბავშვებიო! აი იმათ შესახებ იფიქრეთ რამე, ყურადღებითა და პატივის ცემით მოეპყარით. არ შევეხები იმ სამწუხარო ამბებს, რომელმაც აურაცხელი მსხვერპლი შეიწირა პეტერბურგის ქუჩებში, მაგრამ საქმე იმაშია, რომ ახალგაზდობა ხომ უკან არ ჩამორჩება თავის ამხანაგებს, რომელთაც დაჰღვარეს თავიანთი უმანკო სისხლი; ახალგაზდობა ხომ არ უარჰყოფს თვისს კეთილშობილურ განზრახვასა და მისწრაფებას, რომელსაც ხალხის საკეთილდღეოდ მოღვაწეობა ჰქვიან. ეჭვი არაა, თქვენც, ევგ. ნიკოლოოზის ძევ, შეგემთხვევათ შეჯახება მრავალ ფაქტებსა და გარემოებასთან და, როგორც ყოველი მომაკვდავი, შეიძლება დაჰკარგოთ თავდაჭერილობა, მოთმინება. ამიტომ გისურვებთ, რომ მოსკოვის ქალაქის უფროსის ახალს მაღალს თანამდებობაზედაც ისევე მტკიცედ და შეურყევლად დიიცვათ თქვენი საუკეთესო თვისება—კაცთმოყვარეობა და დამაშვრალთა ქომაგობა. გისურვებთ, რომ სამუდამოდ დაშთენილიყოს თქვენის სახელის გამგონეთა ხსოვნაში თქვენი საუკეთესო თვისება და თქვენზედ კეთილი მოგონება,—წარმოსთქვა დასასრულ ბ-ნმა ასკელბანდმა,—რომ თქვენი ტაქტი შეგრჩენოდეთ მოსკოვშიაც, რათა თქვენის მეცადინეობით იქ არ დაიღვაროს არც ერთი წვეთი სისხლი უდანაშაულო კაცისა, მსგავსად პეტერბურგისა“.

ამ სიტყვებით აღელვებულმა ბ-ნმა ვოლკოვმა უპასუხა იქ დამსწრეთ შემდეგი: ბატონებო! ყველა ის გონებრივი და ესოდენ სასარგებლო სიტყვები, რაც აქ წარმოითქვა და გავიგონე, სამუდამოდ ჩაიბეჭდება ჩემს ხსოვნაში და ყოველთვის მადლობით მოგიგონებთ. ჩემი გრძნობა, აზრი და პრინციპებიც სწორედ მაგვარია. უღრმესს მადლობას გიძღვნით და კიდევა ვსვამ თქვენს სადღეგრძელოს“. ამის შემდეგ გუბერნატორად ნამყოფი ბ-ნი ვოლკოვი მეუღლითურთ გამოეთხოვა ქალაქის წარმომადგენლებს.

გაზ. „ჩერნომორსკოე პობერეჟიე“-ს რედაქციამ შემდეგის შინაარსის ადრესი მიართვა ბ-ნ ვოლკოვს:

„ღრმად პატივცემულო ევგენი ნიკოლოოზის ძევ!

ჩვენს დაღონებას საზღვარი არა ჰქონდა, როდესაც გავიგეთ, რომ თქვენ სტოვებთ ნოვოროსსიისკს. გაზეთ „ჩერნომორსკოე პობერეჟიე“-ს აღორძინება, თუ სულ არა, უმთავრესად მაინც თქვენი თაოსნობა იყო. პროვინციის პროგრამა-შეკვეცილ გაზეთთაგან, და თვით სრულ-პროგრამიანსაც კი, ბევრსა ჰშურდა ჩვენის გაზეთის მდგომარეობა და უპირატესობა, რომელიც იმაში გამოიხატებოდა, რომ იმისთანა ღრმად განათლებული კაცი ჰყავდა ცენზორად, როგორიც თქვენ, პატივცემულო ევგ. ნიკ.-ძევ.

არ შევეხები საზოგადოდ პროვინციალურ პრესის მდგომარეობას,—ეს ყველამ საკმაოდ იცის, თუ რა ტაფაშიაც იწვის. ვიტყვით მხოლოდ, რომ პროვინციალურ ჟურნალ-გაზეთობას ძლიერ ნათლად ემჩნევა მისის ცენზორის გავლენა.

თქვენი შეხედულება,—როგორც ღრმად განათლებულის კაცისა—პრესსის დანიშნულებაზედ, თქვენი პრესისადმი სიყვარული, თქვენი კეთილი განწყობილება როგორც ადგილობრივ, ისე საზოგადო-სახელმწიფოებრივ საჭიროებისადმი, რის გამომხატველიც პრესსაა, დიაღ, ყველა ეს თქვენი ნიშნობლივი თვისება იყო მიზეზი, რომ „ჩერნომორსკოე პობერეჟიე“-ს სხვა ადგილობრივ ჟურნალ-გაზეთებს შორის მინიჭებული ჰქონდა სიტყვის თავისუფლება, რის გამოც აშკარად ამხილებდა ყოველსავე არა-სასურველს ვითარებას და, რაც შეეძლო, პროგრესს ემსახურებოდა. ჩვენს გაზეთს, ვიმეორებთ გულ-ახდილად, შურით შეჰყურებდნენ ბევრი თვისი კოლლეგები.

ეხლა, გამოთხოვების ჟამს, მოვალედ ვრაცხთ ჩვენს თავს გამოგიცხადოთ ჩვენი გულითადი პატივისცემა, როგორც მთელის რედაქციისა, ისე მკითხველთა მხრითაც. მიიღეთ ჩვენგან ეს ძღვენი, უბრალო და მცირედი, მაგრამ გულისა და სულის სიღრმიდგან წარმოთქმული სიტყვები; უფალმა შეგაძლებინოსთ, რომ თქვენს ახალს თანამდებობაზედაც თქვენი მაღალი იდეალები ისევე კაცთ-მოყვარედ, საზოგადოებრივ აზრის პატივისმცემლად, ტვირთ-მძიმეთა და დამაშვრალთა მფარველად დარჩენილიყოს იქ, მოსკოვშიაც, როგორც აქ გამოიჩინეთ ეს საუკეთესო თვისებანი შავის ზღვის პირის გუბერნიის ხან-მოკლე—სამის წლის განმავლობაში—მართვა-გამგეობის დროს. მით უმეტეს საჭიროა ამგვარი მაღალი იდეალები ახლა, ამ მძიმე მდგომარეობაში, რათა შეძლება მიეცეს ყოველ პატიოსან მოქალაქეს, რომ ქვეყნის სასარგებლოდ იშრომოს და არ ეშინოდეს,—ვინ იცის, ხვალ რა მომელისო“.

ადრესი მიართვა ბ-ნ ვოლკოვს ხსენებულ გაზეთის რედაქტორ-გამომცემელმა ბ-ნმა ფ. ს. ლეონტოვიჩმა. ბ-ნი ვოლკოვი აღფრთოვანებული გამოეთხოვა ნოვოროსსიისკს.

ნარკვევი

გაზ. „ნაში დნი“-ში დაბეჭდილია შემდეგი ღია წერილი „ნოვოე ვრემიას“ გამომცემელის ა. სუვორინის მიმართ:

„წავიკითხე-რა გასულის წლის 24 დეკემბრის „ნოვ. ვრემ.“-ს №-ში სუვორინის წერილი „Маленькія письма“, ეჭვი დამებადა ავტორის გულწრფელობაში. ჩემი მტანჯველი ეჭვები მხოლოდ მაშინ გაიფანტება, თუ დამაკმაყოფილებელ პასუხს მივიღებ ბ-ნ სუვორინისაგან. სამი რამ უნდა ვკითხო ბ-ნ სუვორინს და ვთხო პასუხი მაგოს:

1) რამდენი შესწირა მან ფლოტის სასარგებლოდ და საზოგადოდ ომის საჭიროებისათვის?

2) გაამგზავრა თუ არა ერთ ერთი მის ვაჟიშვილთაგანი ბრძოლის ველზედ, თუნდ თავისუფალ მეომრად?

3) აპირებს თუ არა თვითონ ბ-ნი სუვორინი ბრძოლის ველზედ წასვლას მებრძოლ ჯარში აქტიურ მონაწილეობის მისაღებად, იმისდა გვარად, როგორც იაპონელთაგან გასულან ბრძოლის ველზედ თავისუფალ მეომრებად მინისტრებად ნამყოფნი, დამსახურებულნი მოღვაწენი და სხვა მრავალნი მოხუცებულნი, აღფრთოვანებულნი სამშობლოს სიყვარულითა და დარწმუნებულნი თავიანთს ბრწყინვალე გამარჯვებაში?

„ნოვოე ვრემიას“ თაყვანისმცემელი“.

როგორც ვიცით, ბ-ნი სუვორინი სწერდა თავის პირმშო „ნოვ. ვრ“-ში პორტ-არტურის დაცემის შემდეგ,—რათაც უნდა დაგვიჯდეს, ომი უნდა განვაგრძოთ და ჩვენის გამარჯვებით გავათავოთ, რათა მთლად ქვეყნიერობის თვალში სახელი არ გაუტყდეს რუსეთსაო.

ხომ მოგეხსენებათ, სხვისის ხელით ნარის გლეჯა რა ადვილი საქმეა! ბ-ნს სუვორინს მთელი მილიონები აქვს, ახალგაზდა ვაჟიშვილებიცა ჰყავს და არც თვითონაა ისე მოხუცებული, რომ ვერ შეეძლოს დაეხმაროს თავის „საყვარელ სამშობლოს“, მაგრამ ეს ხომ მეტად დიდის მსხვერპლის მოტანა იქნებოდა!..

სუვორინის „პატრიოტობა“ განა იმით კი არ დამტკიცდა, რომ თბილ ოთახში ზის, საწერ-კალამ-ქაღალდი უდევს წინ, ჯიბე ძალზედ გაუტენია და ურჩევს მთავრობას: „გაჰგზავნეთ ბრძოლის ველზედ ცოლ-შვილის პატრონი ხალხი, აიღეთ ომის საჭიროებისათვის აურაცხელი სესხი და დაიხსნათ სამშობლო შერცხვენისაგანაო“?!..

თუ კი ექიმები რჩევა-დარიგებისათვის ცოტაოდენ ჰონორარს იღებენ, რატომ სამშობლოს მოყვარულ ალიოშას არა აქვს უფლება, რომ უფასო რჩევა-დარიგებისათვის „ჭეშმარიტ პატრიოტის“ სახელი მაინც დაიმსახუროს? ამით სამშობლოსთვის ვითომ სარგებლობა მოაქვს და თავისს გაზეთსაც კარგს რეპუტაციას მოუპოვებს, ხოლო თუ გაჭირდა საქმე და რეპუტაცია ვერ მოუპოვა „ნოვ. ვრ.“-ს, „პრედოსტერეჟენიეს“ მაინც ხომ არ გამოუცხადებენ?

ვნახოთ რა პასუხს მისცემს „ჭეშმარიტი რუსი პატრიოტი“ ბ-ნ თაყვანის მცემელ „ნოვ. ვრემიისას“.

პასუხად ბ-ნთა. ნატროშვილსა და ა. ნატროევს.

(წერილი რედაქციის მიმართ)

რუსულ გაზეთ „Тифлисск. Листокъ“-ის მე-5 №-ში დაბეჭდილი გახლდათ ნეკროლოგი მცხეთის სამთავრო დედათა მონასტრის იღუმენია ნინოსი, ხელმოწერილი ბ. ა. ნატროევის მიერ, ესევე, თითქმის სიტყვა-სიტყვით, მცირედის ცვლილებით, ხელმოწერილი ვინმე ბ. ა. ნატროშვილის მიერ, დაბეჭდილი გახლდათ „ივერიის“ მე-5 ნომერშიაც. დიდად სასურველი გახლავსთ ჩემთვის გავიგო: ამ ორთა ნეკროლოგების—ერთი რუსულის, მეორე ქართულის—ავტორი ერთი და იგივე პირია, თუ ორი სხვა და სხვანი არიან. ჩემის აზრით: ეს ნეკროლოგები ორთა სხვა და სხვა პირისგან არიან დაწერილნი და აი რისთვის: ბ. ა. ნატროევის—ავტორის რუსულად ნაწერის—სიტყვით, „ოქონის ხატი „ჯვარცმისაა“, მხოლოდ ნატროშვილისა—ავტორის ქართულად ნაწერისა—„ღვთისმშობლისაა“, და ამასთან, გასაკვირველი ის გახლავთ, ორივენი გვარწმუნებენ, რომ იგი ხატი «ჩვენის თვალით გვაქვს ნანახიო». მოდი და ახლა რომელ ერთს მათგანს დაუჯეროს მკითხველმა, რომელსაც ის ხატი ნანახი არა აქვს: ბ. ა. ნატროევს, თუ ბ. ა. ნატროშვილს!? ცხადია, ამ ორთა შორის ერთი უნდა სცდებოდეს, სტყუოდეს,—მხოლოდ რომელი? მე, რომელსაც ორნავენი ისე თამამად, ერთხმად მდებენ ბრალს, რომ ვითომც ის ხატი „წაღებული“ მაქვს, და რომელსაც იგი აგერ თითქმის ერთი წელიწადია მისვენია ჩემს სახლში, როგორც ძვირფასი საჩუქარი, ნაბოძები განსვენებულ დედა ჩე იღუმენია ნინოს მიერ, მე შემიძლიან დავაკმაყოფილო მკითხველის სურვილ და მოვახსენო: ბ. ა. ნატროევი მართ

ია—ოქონის ხატი ჯვარცმისაა და
ა ღვთის-მშობლისა*) და, მაშასადამე,
ა. ნატროშვილი შემცდარი ბრძანებუ-
ია,—ეტყობა, მას ხატი იგი თვალით
უნახავს, სხვის სიტყვას აჰყოლია,
ვის მიერ ჩაწვეთებული ყურში დაუფიქ-
ებლივ განუმეორებია. თუ ბ. ა. ნატ
როშვილის სხვა გამოკვლევაც ამგვარია,
უშველებია ოჯახს!

რადგანაც დანაშთენს ამ ნეკროლო-
ებში ნატროევიც და ნატროშვილიც
ემ შესახებ ერთ და იმავე ლექსით, თით-
ო შეადგენდნენ ერთ ხორცს და ერთ
ულს, და რადგანაც ბ. ნატროევს ცალ-
ე ვაძლევ პასუხს რუსულად, ამის გამო
ვუდგები ბ. ა. ნატროშვილის მიერ და-
ერილ ნეკროლოგის ზოგიერთ ყალბ
დგილების განხილვას.

დასამტკიცებლად ზოგიერთ ყალბ ადგი-
ებისაბ. ა ნატროშვილის მიერ დაწერილ-
ეკროლოგისა მოვიყვან ფაქტებს, სინამ-
ვილეს რომელთა დავამტკიცებ დიად
ის რწმუნების მოწმობით. დეე, ბ. ა.
ატროშვილმაც, თავის მხრივ, დაამტკი-
ოს უტყუარის საბუთით ის, რაზედაც
ილს მწამებს. მე უფლება მაქვს მოვ-
ხოვო მას ესე, და უკეთუ იგი მას ვერ
ასრულებს, ვალდებული ბრძანდება სა-
ვეყნოდ აღიაროს თავი თვისი ყალბ
მების გამავრცელებლად. ამასთანავე წი-
ადვე ვაუწყებ, რომ მის მიერ იმნაირი
ასუხის არ მოცემა, როგორსაც მე ვთხოვ,
ითვლების, რომ მან სცნო თავი თვისი
ამნაშავეთ ჩემს წინაშე.

ბ. ნატრიაშვილი ბრძანებს: 1) რომ
ერთ უძვირფასეს განძს, რომე-
ლიც დარჩა განსვენებულის შემდეგ,
შეადგენს, სხვათა შორის, ოქონის ღვთის
შობლის ხატი და ტყავზედ ნაწე-
რი ძვირფასი სახარებაო", 2) რომ „ხატი
ესე უკანასკნელ დრომდე (ესე იგი
—დღემდისინ გარდაცვალებისა
რა, ბ. ნატროშვილო?) ესვენა მის საღ-
ურშიო, 3) რომ ეს საუნჯენი (ხატი და
სახარება) წაღებული აქვს ნიკო-
როზ იაკინთეს ძე ალექსი-მესხიშვილის,
) რომ „ხატი ესე არისო შემკული
რავალის ძვირფასის თვალ-მარგალი-
ტით", 5) რომ „ხოლო განსაკუთრებით
ძვირფასიაო მისი მინანქარი, როგორც
როთი მეტად იშვიათი და შეუდარებელიო".
ეცდები ყოველ მუხლზედ მივუგო ბ-ნ
ატროშვილს პასუხი.

ოქონის ხატი ღვთისმშობლისა-
ი არა, ჯვარცმისა გახლავს, როგორც
ემოხსენებულია. მაშასადამე, ბ-ნ ა. ნატ
როშვილს იგი თვალით არ უნახავს, ანუ
უ უნახავს—ჯვარცმა ღვთისმშობლათ
აჩვენებია. ამაში ნატროევმა აჯობა ნატ-
როშვილს, იგი უფრო თვალ-მახვილი
ხლებიათ. დიაღ, მართალია, სახარებაცა
ა ხატიც მე მაქვს, აგერ ერთი წე-
ლიწადია თითქმის ჩემ სახლში
სვენია,—მხოლოდ ჩემ მიერ-კი არ
ახლავან წამოღებულნი, არამედ
ანსვენებულ დედიდა ჩემ იღუმენია
ინოსგან საჩუქრათ ჩემთან ჩა-
ოგზავნილნი, და არა მობა-
ებულნი. მაშასადამე, ბ-ნი ნა-
როშვილი მტკნარ სიცრუეს ბრძა-
ებს, რომ ვითომც ხატი უკანას
ნელ დრომდე ესვენა იღუმენიას
აღგომში და შემდეგ (სიკვდილისა?)
ი აღარ აღმოჩნდა იქ და წაღებულ იქმ-
ა ჩემ მიერ. ნუ თუ ბ-ნ ა. ნატროშვილს
ამოდენა არ ესმის, რომ იგი, როგორც
ატიოსანი კაცი, ვალდებულია უტყუ-
ის საბუთებით, და არა ცარიელის ლა-
რაკით, დამიმტკიცოს ის საშინელი ბრა-
ი, რომელსაც მე მდებს იგი?! ვნახოთ—
ით და როგორც დაამტკიცებს იგი ამას,
ე კი ამას ვამტკიცებ!

ნ. ალექსი-მესხიშვილი.

(შემდეგი იქნება)

წერილი რედაქციის მიმართ.

ბ-ნო რედაქტორო!

ქ. განჯის ქართველობა ერთხმად
თხოვთ თქვენის გაზეთის საშუალებით
ება მოგვცეთ მივმართოთ ქართულ პრე-
ას და მისს წარმომადგენლებს—ქართველ
წერლებს—შემდეგის წერილით: ჩადგა
რო, როდესაც უფრო თავისუფლად და
უფრო ნათლად გამოსთქვას ქართველმა
რმაც თვისი გულის თქმა, თვისი წადი-
ლი, თვისი იმედები. ჩვენც, როგორც
რთი ჯგუფი ქართველებისა, ველოდით
მას, მაგრამ ამაოდ! ძრიელ ცოტაა ქარ-
თველებზე ლაპარაკი ამ დროს ქართულ პრესსაში და რუსულში კი სულ არაფერი. მერე ვინ არის მოვალე ამოიღოს ხმა? ვინ უნდა გააცნოს, სადაც ჯერ არს, ჩვენი გულის-თქმა, ჩვენი მისწრაფება, ჩვენი და იმედები ამ ტანჯვიდამ დახსნისათვის? პრესსამ, პრესსამ და იმავე პრესსამ! ამით სარგებლობენ პოლონელები, ამით სარგებლობენ ფინლიანდიელები, ამითვე ხელმძღვანელობენ მალოროსები, ჩვენ? ჩვენ ჩუმათა ვართ. თითქოს არ იყოს ქართველი ერი, ქართული პრესსა, ქართველი მწერალი. თითქოს ჩვენ არაფერი საზრუნვი, არაფერი საფიქრებელი არა გვქონდესრა, არა, გვაქვს და ძრიელ ბევრიც! ამას გამომჟღავნება უნდა. ხმა-მაღლა, მოურიდებლათ, როგორც ადგილობრივ ჟურნალ-გაზეთებში, ისე რუსეთის პრესსაშიაც. დრო დადგა და უნდა ისარგებლოს ჩვენმა პრესსამ, ჩვენმა მწერლობამ გამოსთქვას ქართველ ერის აზრი. ამიტომ ჩვენ, ქალაქ განჯის ქართველობა, მივმართავთ—მათ აღიმაღლონ ხმა თვისი სამშობლოს მომავალის მოსამზადებლათ, მისის ბედნიერების განსამტკიცებლათ, და იმედი გვაქვს, თუ ვცუჩობდით აქნობამდე, ახლა მაინც მოვალთ გონს და ვეტყვით საქვეყნოთ იმას, რასაც დღემდე ჩურჩულით ვამბობდით. დეე, ქართულმა პრესსამ აცნოს ქართველ ერს ყოველივე აშკარად და დაუფარავად; დეე, რუსეთის და უცხოეთის პრესსამ აცნოს სხვებსაც, რომ ქართველი ერიც არ ჩამორჩენილა კულტურულად, მასაც ჰქონია თვისი სურვილები და მოთხოვნილებანი, რომელსაც უფრო ადვილად განვახორციელებთ ამ დიადს წუთს. ყოველივე ეს კი უნდა სთქვას ქართველმა მწერალმა, როგორც ხალხის ღვიძლმა შვილმა და მისის სურვილების გამომჟღავნებელმა!

განჯელი ქართველები *).

დ ე პ ე შ ა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

17 იანვარი.

პეტერბურგი. ოფიციალური. გენ.-ად. კუროპატკინის დეპეშა მის უდიდებულესობის სახელობაზედ 16 იანვრის თარიღით: „ღამით მოსულ მოხსენებით გუშინ, საღამოს 7 საათზე, იაპონელები რკინის გზის ორსავე მხარეს წინ წამოვიდნენ, მაგრამ 8 საათზე არტილერიითა და თოფებით უკუქცეულ იქმნენ. ჩვენ მოგვიკლეს 3 ჯარის კაცი და დაგვიჭრეს 3 ოფიცერი და 32 ჯარის კაცი. იმავ დროს იაპონელები წინ მოიწევდნენ მანდარინის გზის გასწვრივ, სოფელ სანდიოზოს პირდაპირ, მაგრამ შეჩერებულ იქმნენ. გუშინ, საღამოს $5^1/_2$ საათზე, ჩვენმა ჯარმა იერიში მიიტანა სოფელ სანტაიძესა და ლაბოტაიზე, რომელნიც სანდეპუდან სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარეობენ, და ავიღეთ სანტაიძი და ლაბოტაის ნახევარი. ღამე ეს ჯარი ხუანდისაკენ დავწიეთ. 14 იანვარს, დილით ერთმა ჩვენმა რაზმმა ხეიგოუტაის მიდამოებში იაპონელებს უკან დაახევინა და მივიდა სოფელ ლანდუგაოსთან, სანდეპუს სამხრეთ-აღმოსავლეთით. ეს სოფელი იაპონელებს ეჭირათ და ზარბაზნებით ჰქონდათ გამაგრებული. ბრძოლის დროს იაპონელებმა შეუტიეს ერთ ჩვენს ბატარეიას და ორივე მხრიდან დაუშინეს ზარბაზანი. ეს ბატარეია დაიხსნა ერთმა ჩვენმა ცხენოსანმა პოლკმა, რომელმაც მტერზე იერიში მიიტანა და მისი ყურადღება მიიპყრო. ამ დროს ჩვენს ჯარს მაშველი ჯარი მოუვიდათ და უკან დახევა გაუადვილა".

გენ.-ადიუტ. გრიპენბერგის დეპეშა მის უდიდებულესობის სახელობაზე 16 იანვრის თარიღით: „მანჯურიის მეორე ლაშქრის ერთმა ნაწილმა 12 იანვარს წინ წაიწია და იაპონელთა მარცხენა ფრთეზე იერიში მიიტანა. იმავე დღეს ბრძოლით ავიღეთ შემდეგი გამაგრებული სოფლები: უძიაგოუძი, ჩიტაიძი, მამიკაი, ხაილეტოზა და ხუანტაი. საღამოს 11 საათზედ ხანგრძლივ და მედგარ ბრძოლის შემდეგ ავიღეთ სოფელი ხეიგოუტაი. სოფელი სანდეპუ ვერ ავიღეთ, რადგან 14 იანვარს იაპონელებმა თვითონ შემოგვიტიეს და მთელს ფრონტზე ბრძოლა აგვიტეხეს. მტრის ყველა იერიში მოვიგერიეთ. დაიჭრნენ გენერალ-ადიუტანტი მიშჩენკო და გენერალ-მაიორი კონდრატოვიჩი. ჯარი კარგ გუნებაზეა".

ტოკიო, 16 იანვარი. ხუნხესთან მომხდარ ბრძოლის დროს იაპონელებმა თავიანთი პოზიციები შეინარჩუნეს. ბრძოლა ჯერ არ გამწვავებულა. 40,000 რუსი წინ მოდის სანეიტრალო გზით, რომელიც ჩინეთს ეკუთვნის. კამიმურა თავის ესკადრას დაუბრუნდა. ტოგო ამ კვირის გასულს წავა. საზღვაო საქმეების შესახებ დეპეშების გზავნის ნებას არ იძლევიან. ფლოტი გაფაციცებით ადევნებს თვალყურს იმ გემებს, რომელსაც ვლადივოსტოკში მიაქვს კონტრაბანდა და ბევრ ამისთანა გემს იჭერს. ხუნხუზებთან მომხდარ ბრძოლას არავითარ მნიშვნელობას არ აძლევენ და ამბობენ, ამ შეტაკებას კერძო ხასიათი აქვსო. დარი ხმელეთზე იაპონელების წინააღმდეგია, ზღვაზე კი—იაპონელებისაკენაა. საზღვაო მოხელეები ბალტიის ესკადრის დასარღვევად გეგმას ადგენენ. ფლოტის მზადება გათავდა და ახლა უფრო კარგ მდგომარეობაშია, ვიდრე ომის დასაწყისს იყო.

ტოკიო, 14 იანვარი. წყალქვეშ მავალ ნავთა ფლოტილია ზღვაში გავიდა. საზღვაო უწყებაში გაცხარებული მუშაობაა. ხმა დადის, იაპონიამ ინგლისში რამდენიმე დიდი გემი შეუკვეთაო. პორტ-არტურის კაპიტულიაციის შესახებ ბევრს ლაპარაკობენ და სწერენ. ამბობენ, გენერალ სტესელს იაპონელები ბრძოლის დროს ხშირად ჰხედავდნენო. ორივე მხარე ისე მედგრადა და ისეთის გაბრაზებით იბრძოდა, რომ ისტორიაში ამგვარი მაგალითი არ ყოფილაო. აგრეთვე ამბობენ, რომ ჯავშნოსნები „ასახი" და „იაშიმა" შეაკეთესო.—რუსეთის ცხენოსანი ჯარი ჩრდილოეთ კორეიაში მოქმედობს, მაგრამ იაპონელები არ უსვენებენ და ხელს უშლიან. — რუსების სურსათის უმთავრესი მაღაზიები ბაიკალის ტბასთან არის, რადგან ბაიკალის აღმოსავლეთით რკინის გზა თოვლით არის წალეკილი. ომის გამო ვლადივოსტოკი ზღვიდანაც და ხმელეთიდანაც მოჭრილია.

ტოკიო, 17 იანვარი. 11-დან 16 იანვრამდე, იაპონელების აზრით, რუსების ზარალი 16 ათასია. ოიამა იუწყება, იაპონელთა შუბლი და მარჯვენა ფრთე არ შეცვლილა. მარცხენა ფრთეზე რუსები განუწყვეტლივ ზარბაზნებს ისვრიანო.

ვლადივოსტოკი, 17 იანვარი. ვლადივოსტოკთან ჩაიძირა ნახშირით დატვირთული დიდი გემი.

18 იანვარს.

გომელი, 17 იანვარი. სასამართლოში გათავდა საქმე ებრაელთა დარბევის შესახებ. კამათი ზეგ დაიწყება. გუბერნატორი მოვიდა.

ბერლინი. აგრარიების გაზეთები უკმაყოფილონი არიან სავაჭრო ხელშეკრულობით რუსეთთან.

ომსკი, 17 იანვარი. რკინის გზის მოხელეებსა და მსახურთ ნავთი და შეშა აღარ ეძლევათ. ამის გამო შიშობენ, ვაი თუ უწესოება მოხდესო. 4000 კაცი უკმაყოფილოა და პროტესტს აცხადებს.

ნიჟნი-ნოვგოროდი. საგუბერნიო საერობო კრებამ დაადგინა: ერობაში უნდა მოისპოს წოდება და გლეხებმა ერობაში ისეთივე მონაწილეობა უნდა მიიღონ, როგორსაც თავად-აზნაურნი იღებენ, ამომრჩეველთა ცენზი უნდა შემცირდეს, ქალებმაც უნდა მიიღონ მონაწილეობა არჩევნებში, ერობის მართვა-გამგეობაში და ერობის უფლებაც უნდა გაფართოვდეს.

ვენა. „ფრანკფურტის გაზეთს" სტამბოლიდგან დეპეშით აუწყებენ, რომ პორტამ 6.000,000 ლირი აიღო სესხად $80^1/_2\%$ კურსზეო. საფრანგეთის სინდიკატმა შესწყვიტა რკინის გზის შენება ჰანსა და ალეპპოს შორის. მჯერბ-დამასკის რკინის გზის ლიანდაგს პორტა შეისყიდის $7^1/_2$ მილიონად. პორტა არ დასთანხმდა იმაზე, რომ ზარბაზნები უთუოდ საფრანგეთის ქარხნებს შეეკვეთოს.

პარიჟი. საღამოს ჟამს, როდესაც თ. ტრუბეცკოი თავისს ბინაზედ ჰბრუნდებოდა, კიბის საფეხურზედ შენიშნა საკვირველ სანახაობის პაკეტი, რომელშიაც ნალმი იყო, პატრუქი ჰქონდა გაკეთებული და ოდნავ ჰბოლავდა. ნალმი წაიღეს საქალაქო ლაბორატორიაში. ხმა დადის, ვითომ ეს თავხედური საქციელი სოციალისტთა ყრილობას მოექმედნოს.

ტოკიო. პეკინიდგან მიღებული დეპეშა იუწყება, რომ კუროპატკინის მთელს ლაშქარს სასტიკი ომი დაუწყიაო. ახლა რუსები უფრო მისდევენ სათარეშო ომის ტაქტიკას. ლიაოხედგან სამხრეთად რუსები 30 ათასამდე იქმნებიან. მეორე ძლიერი ლაშქარი მდინარე შახესა და ტაიძიხეს ნაპირადაა დაბანაკებული. უკანასკნელ ბრძოლის დროს იაპონელთა ჯარის მარცხენა ფრთედის მიერ ჩტეხილ ზარბაზნების სროლის ხმა ისმოდა ინკოუს.

იაპონური გაზეთი „ჟიჟი" ამბობს, რომ რუსთა ექვსი დივიზია ჩრდილოეთისაკენ იხევს უკანაო. იაპონელნი კვალ-და-კვალ მისდევენ. ზარალი დიდია. მოჯის მოსულ აფიცრის სიტყვით, კუროპატკინს ხშირად ჰხედავენ მოწინავე პოზიციებზედ. გენერალი ძლიერ ცოტასა ჰზრუნავს თავის თავზედ და ამას წინად კიდეც დასჭრეს.

პეტერბურგი. ჟანდარმთა განცალკევებულ კორპუსის შტაბის უფროსი გენ.-მაიორი დედიულინი დაინიშნა პეტერბურგის ქალაქის უფროსად.

პარიჟი, 17 იანვარი. კომისიის სხდომა. მოწამემ კოსტეილმა, ჰულელმა მეთევზემ, განაცხადა,—ფლოტილიის გემებს შორის არც ერთი უცხოეთის გემი არ შემინიშნავსო. მისის სიტყვით, სროლამ გასტანა 20 წუთს, ხოლო შემდეგ რუსები გაემართნენ სამხრეთ-დასავლეთად. სროლის დროს მოწმეს შეუნიშნავს რაღაც შავი საგანი, რომელიც შეიძლებოდა ნალმოსანი ჰგონებოდათ, მაგრამ კოსტეილსა ჰგონია, რომ მის მიერ შენიშნული საგანი იყო სამისსიონერო გემი „ალფა". ნეკლიუდოვმა ითხოვა, რომ ხელახლა წაეკითხათ მოწმის ჩვენების ის ნაწილი, რომელიც შეეხება ხსენებულს შავს საგანს. ჩვენების წაკითხვის შემდეგ, ნეკლიუდოვმა რამდენიმე კითხვა მისცა მოწამეს, რომელმაც განაცხადა,—არ დამინახავს სხვა გემები უფარნოდ, გარდა „კრაინესა" და „ალფასიო". ფრომანო, რუსის იურისკონსულტთა თანაშემწე, ეკითხება მოწმეს მომხდარ ამბის დროს ფლოტილიის მდგომარეობის თაობაზედ. ადმირალმა დუბასოვმა ჰკითხა მოწმეს: რაზედ ამყარებთ თქვენს აზრს, რომ რაღაც შავი საგანი გემი „ალფა" იყოო? ამაზედ მოწმემ უპასუხა,—ეგ აზრი რვა დღის შემდეგ დამებადა, როდესაც ჰულლს დვაბრუნდი და რუკას დავხედეო. ადმირალმა დუბასოვმა აჩვენა მოწმეს რუკაზედ, თუ სად იმყოფებოდა მისი გემი, აგრედვე გემი „ალფაც". თავის გემებს შორის იყო ოთხი სხვა გემიც, მაშასადამე, შავი საგანი შერეულა სხვა გემებში, რომლებზედაც ჩვეულებრივ ფარნები იყო. შავის საგნის შესახებ ტიკფორდის შეკითხვაზედ მოწამემ განაცხადა,—შავი საგანი შევნიშნე სროლის დროს, ათის წუთის შემდეგ სროლის დაწყებიდგანაო. ნეკლიუდოვი თხოულობს, რომ მოწმე პირზე დააყენონ ორ სხვა მოწმეს. ფურნიემ დააკმაყოფილა ეს თხოვნა.

შანხაი. თუმცა ჩინეთმა პროტესტი განაცხადა და ამბობს, რომ ილის პროვინციაში რუსების ყოფნა ჩინეთის ნეიტრალიტეტის დარღვევააო, რუსები მაინც არა სცლიან ილის პროვინციას.

ესსენი. მრეწველობის წარმოების შეჩერება ნახშირის უქონლობისა გამო მატულობს. ფენიქსისა და უნიონის ქარხნებმა მუშები დაითხოვა, რადგანაც წარმოების განგრძობა შეუძლებელი შეიქმნა.

პეტერბურგი. ოფიციალური. გენ. კუროპატკინის დეპეშა ხელმწიფისადმი: 1) 16 იანვრის თარიღით: „მიღებულ ცნობათა თანახმად, იაპონელთ უკანასკნელს ბრძოლებში დიდი ზარალი მოუვიდათ. მრავალნი იაპონელნი, მედგრად მოწინააღმდეგენი, ქვეითა ჯარმა ხიშტებზედ ააგო და ცხენოსნებმა დასჩეხეს. სულ რამდენი გვყავს ტყვედ წამოყვანილი, დაწვრილებით არ ვიცით, მაგრამ 300 კაცამდე უნდა იყოს. მიღებულის ცნობით, გუშინ იაპონელთ შუბლისკენ შემოგვიტიეს, მაგრამ ჩვენებმა უკუ-აგდეს; ამ ბრძოლაში ჩვენ დაგვაკლდა 5 აფიცერი და 50 ჯარის-კაცი. იაპონელთა შემოტევას ყოყმანობა ეტყობოდა. ჩვენი ჯარი საუცხოვო გუნებაზეა". 2) 17 იანვრის თარიღით: „როგორც მიღებულ ცნობებიდგანა სჩანს, ჩვენი ჯარი იჭერს სოფლებს, რომელიც ამას წინად იაპონელთ წავართვეით ბრძოლით. 15 იანვარს საღამოთი ორჯერ მოინდომეს სოფ. ბიტაიძის წართმევა იაპონელებმა ძლიერის საარტილერიო მომზადების შემდეგ, მაგრამ ორჯერვე უკუ ვაქციეთ. გუშინ ჩვენმა არტილერიამ ყოჩაღად დაუშინა ზარბაზნები სანდეპუს, სადაც ემჩნეოდა, რომ დიდძალი ჯარი იყრიდა თავს. წუხელის 20 გრადუსზედ ცოტა მეტი ყინვა იყო".

გენ.-ადიუტანტის გრიპენბერგის უქვეშევრდომილესი დეპეშა ხელმწიფისადმი, 17 იანვრის თარიღით: „16 იანვრის თარიღით გამოგზავნილ დეპეშის დასამატებლად მოგახსენებთ, თქვენო უდიდებულესობავ, რომ მტერმა 15 იანვარს, საღამოს 7 საათიდგან, განაახლა ბრძოლა ჩვენის მარცხენა ფრთედის ერთ-ერთ რაზმის წინააღმდეგ. საღამოს 10 საათიდგან შუაღამემდე მტერმა ოთხჯერ მოიტანა ჩვენზედ იერიში, მაგრამ ჩვენ ისე ძლიერად ვესროდით, რომ უკუ-ვაქციეთ.

პარიჟი, 18 იანვარი. ნალმი, რომელიც თავ. ტრუბეცკოის მოუწყვეს, 20 სანტიმეტრის სიგრძისა იყო; ნალმი გაევსოთ ლურსმნებითა და მწვანე თოფის წამლით. რომ აფეთქებულიყო, ახლო-მახლო დაანგრევდა ყველაფერს. რუსეთის საელჩო და ზოგიერთ წარჩინებულ რუსთა სადგომებს საგანგებო მცველნი მიუჩინეს.

ტიკოლის დარბაზში საღამოს სხდომაზედ 8,000 კაცი შეიკრიბა. პოლიციამ ყოველგვარი ღონისძიება მიიღო. ლაპარაკობდნენ: ჟორესი, პრესსანსე, რუბანოვიჩი, ვალიანი და სხვა ორატორები. როდესაც დარბაზიდგან გამოდიოდნენ, ვიღაც უცნობთა ჯგუფიდგან ისროლეს ნალმი, რომლითაც დაიჭრა ორი ქუჩის დარაჯი. დაიჭრა აგრედვე ორი მანიფესტანტიც. ორივენი დააპატიმრეს. ჰგონებენ, რომ ეგენი უნდა იყვნენ მოკვლის განზრახვის მოთავენი.

პარიჟი, 18 იანვარი. ნალმის აფეთქების დროს დაიჭრა 5 კაცი: ორი რესპუბლიკის გვარდიის ჯარის-კაცი, ორი გარეშე კაცი და ერთი ქალი. პირველი ოთხი საგრძნობლად დაიჭრა. ერთ კაცს, რომელსაც დამნაშავედა სთვლიან, ორივე ხელი დაუშავდა; ჩამომავლობით რუსია. აფეთქების ძალამ ერთს რესპუბლიკელ გვარდიელს თოფი გაუტეხა. ნალმი სავსე იყო რევოლვერის ტყვიებითა, მსხვილ საფანტით, სანადირო ტყვიებითა და ლურსმნებით. შუშის ნამტვრევები და ლურსმნები აფეთქების ადგილიდგან 20 მეტრის მანძილზედ აჰკრიფეს. დილის 3 საათზედ პოლიციამ 61 კაცი დააპატიმრა. დაპატიმრებულთა უმრავლესობა რუსებია.

თავ. ტრუბეცკოის მოკვლის განზრახვის თაობაზედ გამოძიებამ ამაოდ ჩაიარა. თავ. ტრუბეცკოი ბინაზედ ჰბრუნდებოდა ასე შუაღამის 1-ლ საათზედ. კიბეზედ შეჰნიშნა რაღაც საკვირველი პაკეტი, მაგრამ ხელი არ უხლია და დაუძახა მაშინვე პოლიციის ორს აგენტს; ამათ წაიღეს პაკეტი, რომელშიაც აღმოჩნდა ასაფეთქებელი ნივთიერება. გამოძიებას აწარმოებს პროკურატურა.

ტოკიო, 18 იანვარი. იაპონელთ შეიპყრეს ხაკკაიდოს მახლობლად ბრიტანიის გემი „უზკფილდი", რომელსაც ვლადივოსტოკს კონტრაბანდა საქონელი მიჰქონდა.

ლონდონი. „ცენტრალ ნიუს"-ის სააგენტოს გაუგია, რომ, ბრიტანიის პეტერბურგელ ელჩის მოთხოვნილებისამებრ, რუსეთის მთავრობამ უბრძანა ვარშავის გენერალ-გუბერნატორს, — სასტიკად გამოიძიეთ ვარშავაში მყოფ ბრიტანიის კონსულსა და ვიცე-კონსულზედ ჯარის-კაცთა თავდასხმის საქმეო.

პეტერბურგი. ოფიციალური. პეტერბურგის ქუჩებში მომხდარ უწესოების დროს 9 იანვარს, როგორც დამატებით ცნობებიდგანა სჩანს, მოუკლავთ 96 კაცი, ხოლო 333 დაჭრილთაგან დღემდე გარდაიცვალა 32 კაცი. დანარჩენთაგან 53 კაცს აღმოუჩინეს ამბულატორიული დახმარება; 17 კაცი უკვე გამოეწერა საავადმყოფოებიდგან და 231 კი ჯერ-ჯერობით ისევ საავადმყოფოებშია; აქედგან 16 კაცი პულიტოვის ქალაქის განაპირა საავადმყოფოშია, ხოლო 216 დაჭრილი კი—სატახტო ქალაქის სხვა-და-სხვა საავადმყოფოებში.

19 იანვარი.

პეტერბურგი. შინაგან საქმეთა მინისტრი, გენერალ-ადიუტანტი თავადი სვიატოპოლკ-მირსკი, მისისავე თხოვნისამებრ, ამ თანამდებობიდგან დათხოვნილ იქმნა ავადმყოფობისა გამო, ხოლო გენ.-ადიუტანტის ხარისხი ისევ შერჩება.

ვლადივოსტოკი. ვაჟების გიმნაზია ნერჩინსკში გადაიტანეს.

პარიჟი. ღამე ნასროლ ყუმბარის გამო გამოძიება დღეს დილით სწარმოებდა, მაგრამ შედეგი ჯერ-ჯერობით არა სჩანს.

ლონდონი, 17 იანვარი. იაპონიის საელჩომ გამოაქვეყნა ვრცელი პასუხი იაპონიის მთავრობისა შესახებ რუსეთის ნოტისა, ვითომ იაპონელებმა ჩინეთის ნეიტრალიტეტი დაარღვიესო. იაპონიის მთავრობა გადაჭრით უარჰყოფს რუსეთის

---

*) რასაკვირველია, ის, რომელიც დღეს მაქვ-

*) ხელი უწერია 19 კაცს. რედ.

ბრალდებას და აცხადებს, რუსეთის ბრალდება საფუძველს მოკლებულია და, პირიქით, თვითონ რუსეთი არღვევს ჩინეთის ნეიტრალიტეტსაო.

გაიაშიმ გამოაქვეყნა ტოკიოდან მოსული დეპეშა, რომლითგანაცა სჩანს, რომ, ოიამას მოხსენებით, ლიდიაკოუსა და ხეიგოუტაისთან მომხდარ ბრძოლის შემდეგ რუსებმა ბრძოლის ველზე 1200-ზე მეტი დაჭრილი და მოკლული დასტოვესო.

ნიუ-იორკი, 18 იანვარი. ფოლადის მწარმოებელთა ტრესტის პრეზიდენტი შვაბე რუსეთში წავიდა, სადაც იმედი აქვს, რომ პირობის ძალით, 10 ჯავშნოსანის აშენებას იკისრებს. ჯავშნოსნები ეღირება 200 მილიონ მანეთამდე.

ტოკიო. ოფიციალური. იაპონელთა მარჯვენა ფრთე არ შეცვლილა. 16 იანვრიდან რუსების მოწინავე რაზმებმა ამ მხარეზე რამდენიმე იერიში მიიტანეს, მაგრამ ვერაფერს ვერ გახდნენ. რუსები იაპონელთა შუბლის პირდაპირ შაუნტაიძისა და იმის მი ჭმოებს ზარბაზნებს ესროდნენ. რუსები თავიანთ მარცხენა ფრთეზე ხანგამოშვებით ზარბაზნებს ისვრიან და თხრილებს აკეთებენ. რუსებმა იერიში მიიტანეს იაპონელთა პოზიციაზე, ტეიტაიძის მახლობლად, ხუნხეს მარჯვენა ნაპირზე; შედეგი ჯერ არ იციან. კერძო ცნობებიდან ასჩანს, რომ იაპონელებს უკანასკნელ ბრძოლების დროს 3000 კაცი დააკლდათ.

ომსკი. აქ იმედი არა აქვთ, რომ აქედან შორეულ აღმოსავლეთში რაიმე ბარგისა და სურსათის გაგზავნა მოხერხდეს, რადგან კერძო საქონელიცა და სამხედროც კი არ მიაქვთ და არც აქ მოტანის უფლება აქვთ. 300,000 ფუთი ფქვილი და 200,000 ფუთი ქერი გარედ ჰყრია და, უეჭველია, გაფუჭდება. ამისდა მიუხედავად საქონელს მაინც ჰყიდულობენ და გარედ ინახავენ.

პეტერბურგი. გენ.-ადიუტანტის კუროპატკინის დეპეშები მის უდიდებულესობის სახელობაზედ:

1) „17 იანვრის თარიღით: „დღეს ჩვენის ყუმბარებისგან სოფელ სანდეპუს ცეცხლი წაეკიდა. ჩვენის ფრონტიდან ზარბაზანი დავუშინეთ იაპონელთა რაზმებს, რომელნიც ერთი ალაგიდან მეორეზე გადადიოდნენ. 15 იანვარს მთელის დღის განმავლობაში იაპონელებმა მძლავრად დაუშინეს ზარბაზანი ხეიგოუტაისა და ტოუპაოს, საღამოზე კი წინ წამოვიდნენ და ოთხჯერ მოიტანეს იერიში. 10—12 საათამდე ყველა იერიში მოვიგერეთ, 2 საათზე კი ჩვენმა ჯარმა ბრძანებისამებრ უკან დახევა დაიწყო. სოტნიკის მირონოვის უფროსობით ერთმა ჩვენმა რაზმმა ლიაოიანის სამხრეთით, 12 ვერსის მანძილზე, რკინის გზა გააფუჭა.“

2) 18 იანვრის თარიღით: „ღამე ცნობა მოვიდა, რომ ჩვენს პოზიციებზე სიწყნარეაო. ხანგამოშვებით ზარბაზნებს ვისროდით. გუშინ ჩვენი არტილერია სანდეპუსთან კარგად მოქმედებდა. ჰაეროსტატიდან დავინახეთ, რომ სანდეპუდან იაპონელებს რაზმები გაჰყავდათ; ამ სოფლის დასავლეთით იაპონელები პოზიციებს ამაგრებენ. ჩვენ ხელს ვუშლით. ჩვენს მარცხენა ფრთეზე გუშინ, დილის 3 საათზე, იაპონელებმა იერიში მოიტანეს ჩვენის ჯარის მოწინავე რაზმებზე, რომელთაც ცინხონჩენიდან 20 ვერსის მანძილზე უღელტეხილები ეჭირათ. იაპონელები 10 როტამდე იყვნენ. ჩვენმა ჯარმა ჯერ უკან დაიხია, მაგრამ მერე ისევ წინ წაიწია და უღელტეხილები უკანვე დაიბრუნა. ჩვენებმა აჰკრიფეს 39 მოკლული და 8 დაჭრილი იაპონელი. ჩვენ მოგვიკლეს 15 და დაგვიჭრეს 34 ჯარის კაცი“.

3) 18 იანვარის თარიღით: „დღეს დილის 5 საათზე, სანდეპუდან გამოსულმა იაპონელთა რამდენმამე ბატალიონმა იერიში მოიტანა ბეიტაიძიზე. ჩვენებმა მოიგერეს. ღამ-ღამობით ყინვა 25°.“

პეტერბურგი. მთავრობის ცნობა. ოთხშაბათს, 19 იანვარს, მისმა უდიდებულესობამ სატახტო ქალაქისა და იმის მიდამოების ფაბრიკებისა და ქარხნების მუშათა დეპუტაცია გააბედნიერა შემდეგის სიტყვებით:

„მე იმიტომ მოგიწვიეთ, რომ პირადად მოისმინოთ ჩემი სიტყვა და ეს სიტყვა პირდაპირ თქვენს ამხანაგებს გადასცეთ. არეულობის სამწუხარო და ამასთან აუცილებელი შედეგი იმიტომ მოხდა, რომ თქვენვე მოატყუილებინეთ თქვენი თავი რუსეთის მტერთა და მოღალატეთ. მოღალატეებმა მაგიმხრეს და თქვენის საჭიროების გადმოსაცემად ჩემთან გამოგზავნეს და ამით ჩემსა და ჩემის მთავრობის წინააღმდეგ აგაჯანყეს. გარდა ამისა იმათ მუშაობაზე ძალით სწორეთ იმ დროს აგადებინეს ხელი, როცა ყველა ნამდვილი რუსი მოვალეა დაუსვენებლად და მხნედ იმუშაოს, რათა ჩვენი გარეშე და მედგარი მტერი მოვიგეროთ. შეტაკებანი და სხვა და სხვა კრებები სამუშაოს მოკლებულ ბრბოს აღელვებს და ისეთ უწესობას ადენინებს, რომელიც იძულებულ გვყოფდა და შემდეგშიაც იძულებულნი გვქნებით სამხედრო ძალას მივმართოთ, ამას კი უეჭველად უდანაშაულო მსხვერპლი მოჰყვება. ვიცი, რომ მუშის ცხოვრება ძნელია. ბევრია გასასწორებელი და მოსაწესრიგებელი, მაგრამ მოთმინება იქონიეთ. თქვენც გესმით, რომ მექარხნეებსაც უნდა სამართლიანად მოექცეთ და ჩვენის მრეწველობის მდგომარეობაც უნდა მხედველობაში იქონიოთ, მაგრამ ის კი ბოროტმოქმედებაა, რომ აჯანყებული ბრბო თავის საჭიროებას უწესოდ თხოულობს. მე მუშებისათვის ვზრუნავ და ვეცდები, რომ მუშათა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად რაც კი შესაძლებელია, აგასრულო და დავამყარო ის კანონიერი საშუალება, რომლითაც შეიძლება მუშებმა თავიანთი საჭიროება მოითხოვონ. მე მრწამს მუშათა პატიოსანი გრძნობანი და მათი ჩემდამა შეურყეველი ერთგულება და ამიტომ შევუნდობ მათ ცოდვებსა; ეხლა კი ისევ თქვენს მშვიდობიანს მუშაობასა და შრომას შეუდექით, პირჯვარი გადაიწერეთ და თქვენ და თქვენმა ამხანაგებმა თქვენი საქმე დაიწყეთ. ღმერთმა ხელი მოგიმართოთ“.

ოდესა, 19 იანვარი. ღამის 9½ საათზე პოლიციის ახლო რევოლვერი ესროლეს პოლიცმეისტერს გოლოვინს. ტყვიამ ფილტვი გაუკაწრა და მარჯვენა ბეჭში გაჩერდა. ბოროტ-მოქმედი დაიჭირეს.

იუზოვკა, 19 იანვარი. ნოვოროსიისკის საზოგადოების ქარხნის მუშებმა სრულის წესიერებით განაახლეს მუშაობა. მღვიმე-მაღაროებშიაც მუშაობენ.

ტოკიო, 18 იანვარი. კუროპატკინის გარს შემოსავლელი მოძრაობა აქ იმდენად გაბედულ ნაბიჯად მიაჩნიათ, რომ მდ. ხუნხეს გაღმა ნაპირისაკენ კუროპატკინის დაწევა აუცილებლად უნდა მოჰხდეს. რუსები იძულებულნი იყვნენ მიეტოვებინათ ყველა პოზიციები 13 კილომეტრის მანძილზედ. რადგანაც ხეიგოუტაის მიდამოებში ნიადაგი გაიყინა, თავშესაფარებელ ტრანშეების აგება შეუძლებელია. იაპონელთ 7,000 კაცი დააკლდათ. რუსებმა, რომელთაც ოიამას მარცხენა ფრთეზედ იერიში მიიტანეს, წინ წაიწიეს ხეიგოუტაის გზით შინტაიძისაკენ, 17 კილომეტრის მანძილზედ სამხრეთად. იაპონელნი განახლებულის ძალღონით განაგრძობენ მომზადებას. ახლა ნამდვილად სჯერათ, რომ გენ. ნოგი ჯერ კიდევ ვერ დაბრუნდება იაპონიაში, კამიმურა კი დღეს საღამოს გაემგზავრა ბრძოლის ველისაკენ. პორტ-არტურიდგან დალნიმდე რკინის გზა უკვე შეაკეთეს.

პარიჟი, 19 იანვარი. დილის 3 საათზედ «ავენიუ დ'ოპერა»-ზედ იპოვნეს ახალი, ჯერ აუფეთქებელი ყუმბარა. გამოძიება სწარმოებს. შედეგი გამოძიებისა არ იციან.

მონტერბელლომ, კიუბერვილმა და კარნომ დააარსეს კომიტეტი, რომელმაც მთლად საფრანგეთში უნდა გაჰმართოს ხელის მოწერა და შეგროვილ ფულით იყიდოს პორტ-არტურის დამცველთა ოქროს წიგნი, რომელსაც მიართმევენ რუსეთის ხელმწიფეს. პორტ-არტურის დამცველთათვის კი დააწესებენ განსაკუთრებულ მედლებს.

ამერიკა, ინგლისი, საფრანგეთი და გერმანია ახლო მომავალში დიდძალ ფულს გადასდებენ ისეთ უზარმაზარ ჯავშნიან გემთა ასაგებად, რომლის სიდიდისაც ჯერ არსად არ არსებობს.—რესპუბლიკის პრეზიდენტის ახლო მომავალს არჩევნებში უძლიერეს კანდიდატად ასახელებენ სენატის პრეზიდენტს, რომელიც კავშირის მომხრეა. თუ ისევ ლუბეს ამოირჩევენ, მაშინ სენატის პრეზიდენტი ბრისონი თავის კანდიდატურაზედ უარს იტყვის.

20 იანვარი.

ადესა, 19 იანვარი. პოლიცმეისტრისათვის რევოლვერის მსროლელი აღმოჩნდა ებრაელი სრულ ბურაკი, 20 წლისა. გაჩხრეკის დროს უპოვნეს პროკლამაციები და მთავრობის საწინააღმდეგო ბროშიურები. დამნაშავე სდუმს. დაჭრილ პოლიცმეისტრის მდგომარეობა გამოურკვეველია.

ლონდონი, 19 იანვარი. ვიკონტ გაიაშიმ გამოაქვეყნა ტოკიოდგან დღეს მიღებული დეპეშა; თანახმად ამ დეპეშისა, ოიამა იუწყება, რომ 17 იანვარს რუსებმა დაუწყეს ყუმბარების დაშენა იაპონიის მარჯვენა ფრთედს იმ დროს, როცა რუსთა პატარა რაზმებს იერიში მიჰქონდათ იაპონელებზედ სხვა-და-სხვა გზით, მაგრამ ყველა მათი იერიში იაპონელთა მოწინავე რაზმებმა უკუ-აქციეს. იაპონელთა მარცხენა ფრთედს რუსებმა 17 იანვარს ციხის სანგრევ ზარბაზნებით სროლა დაუწყეს გეიტაძიდგანა და სანდეპუდგან, ხოლო 16 იანვარს კი სანდეპუსა და ლამატაის ესროდნენ. რუსთა დიდის რაზმების სატევი მოქმედება იაძუპაოსა და ტუტაიძის მხარეზედ იაპონელებმა უკუ-აქციეს, როგორც 17-ს, ისე 18 იანვარსაც.

ლონდონი, 19 იანვარი. იაპონიის ნაღმოსანმა ხოკკაიდოს მახლობლად შეიპყრო ავსტრიის გემი „სიამ“-ი, ვლადივოსტოკისათვის ნახშირით დატვირთული.

ბათუმი, 19 იანვარი. ნაშუადღევის 4 საათზედ მანთაშევის ქარხნის მახლობლად მოკლულ იქმნა ინჟენერი ალექსანდერი, პასსეკისა და ამხ.-ს ერთ-ერთ მექანიკურ ქარხნის პატრონი. მკვლელმა ორჯერ ესროლა რევოლვერი და მიიმალა.

პეტერბურგი. მისმა იმპერატორებითმა უდიდებულესობამ გადასცა საკუთარ ფულიდგან 50 ათასი მანეთი იმ ოჯახებისათვის, რომელთა წევრნი პეტერბურგში 9 იანვარს უწესოების დროს დახოცილ და დაჭრილ იქმნენ.—უმაღლესი ბრძანება: ბეჭდვითი საქმის უმთავრეს გამგეობის უფროსი ტაინი სოვეტნიკი ზვერევი დათხოვნილ იქმნა ამ თანამდებობიდგან და დატოვებული სენატორად.

პარიჟი. დეპუტატს დენი კოშენს უნდა შეეტანა განცხადება, თუ რა ღონისძიება უნდა იქმნას მიღებული ანარქისტების წინააღმდეგ, მაგრამ განცხადების შეტანა გადასდეს, ვიდრე გამოძიება გათავდებოდეს. სოციალისტები კვირისათვის ამზადებენ მანიფესტაციას, რომელიც იქნება სადილს უკან მონ პარნასის სასაფლაოზე.

გამოძიება ანარქისტების წინააღმდეგ ენერგიულად სწარმოებს. გამომძიებელმა ყველა დატუსაღებულნი გაანთავისუფლა, ოთხის გარდა. ჰფიქრობენ, პოლიციის კომისარმა დამნაშავეთა კვალს მიაგნოო. ის ყუმბარა, რომელიც თავად ტრუბეცკოის მიუგდეს, ჰგავს ყუმბარას, რომელმაც იფეთქა სხვაგანაც. ამ ბოროტ-განმზრახველებმა დიდად შეაწუხა პარიჟელები.

ბუდაპეშტი. კოშუტმა განაცხადა, ჩემს დასს შეუძლიან იტვირთოს გამგეობაო და დიდს ცვლილებას ჰპირდება სამხედრო საქმეებში.

პარიჟი. ყუმბარა, რომელიც დილით ავენიუ დ'ოპერასთან იპოვეს, ვილაცას თავის ასაგდებად დაუდვია. ის ნახეს სასტუმრო „მონდის“ წინ, სადაც დგებიან ხოლმე ვიტტე, გენერალი სახაროვი და საზოგადოდ დიდებულნი რუსნი. ყუმბარის ნახვამ დიდად ააღელვა ყველა. როცა ლაბორატორიაში გასინჯეს, აღმოჩნდა, რომ ნახშირით იყო გატენილი, მაშინ კი დაშოშმინდნენ. მეორე მასხარას ამნაირივე ყუმბარა დაუგდია ბროტეილის ქუჩაზე. დამნაშავეებს დაეძებენ.

ვენა. უნგრეთის მინისტრ-პრეზიდენტმა ტისსამ კაბინეტის დათხოვნის ქაღალდი შეიტანა.

ბელგრადი. ბალუგდიჩმა საღამოთი ერთობ ცხარე წერილი დაბეჭდა პაშიჩის წინააღმდეგ და უწოდებს იმას ქურდების გამცემლად (?). ამან მთავრობა ააღელვა და გადასწყვიტეს, პასუხის გებაში მისცენ ცილის წამებისათვის. სამინისტროს კრიზისი აუცილებელია.

ბიზერტა. მძლავრმა ქარმა დაანგრია კედელი, რომელიც სამხედრო ნავთსადგურს ჰქონდა აფარებული, და ზემო თავი ააგლიჯა. ზარალი ორი მილიონი ფრანკია.

პეტერბურგი. პირველ საათზე ჩაინგრა ეგვიპტის ხიდი ფონტანკაზე, როცა ცხენოსანი ჯარი გადიოდა.

ტოკიო. მანჯურიაში სამხედრო მოქმედების შესახებ ნაკლებად მოდის ცნობები. ნამდვილია, რომ იაპონელებმა უთვალავი იერიშები მოიგერეს. 13 და 14 იანვრის ბრძოლის ანგარიშებში ნათქვამია, რომ იქ დიდი თოვლია; ბევრი ჯარისკაცნი დაიხოცნენ სიცივითა. შემდეგ კი დარი გაუკეთესდა. რუსთა მოძრაობა იაპონელთა მარცხენა ფრთისაკენ გამოიხატა იმაში, რომ გამოილაშქრეს შინტაიძ-ხეიგოუტაისაკენ, 20 კილომეტრზე სამხრეთად კანიხოდან. იაპონელთ მოიგერიეს გააფთრებული იერიშები და თითონაც თავს დაესხნენ სამიშ სიმაგრეებს რუსებისას — შინტაიძსა და ხეიგოუტაის — და დაიჭირეს პირველი. დიდ ზარალის მიხედვით, ეს ბრძოლა ერთი უსაშინელესია აწინდელ ომში.

ტოკიო. აქაურს სამხედრო წრეებში არა ფიქრობენ, რომ აწინდელი ყოფა-მდგომარეობა საზოგადო წინსვლას მოასწავებდეს.

ბუდაპეშტი. ანდრაშის მიწვევა ვენაში იმას არ ნიშნავს, ვითომ კაბინეტის შედგენა იმას უნდა მიანდონ. საეჭვოა, რომ იკისროს ეს მინდობილობა.

პარიჟი. ადმირალი ტოგო 26 იანვარს შეუდგება ფლოტის უფროსობას.

ადესა. გამოძიებამ აღმოაჩინა, რომ პოლიცმეისტერს ესროლა ადესაში დროებით მცხოვრებმა ბერდიჩევის მცხოვრებმა აბრამ შტილმანმა, ხეზე სახეების ამომჭრელმა. გუშინ მეეზოვე შეხვდა და ვერ იცნო. დაჭერილ პოლიცმეისტერს არა უშავსრა. რენტგენის სხივებით გამოკვლევა და ტყვიის ამოღება გადასდეს.

კიევი. გრაფმა ბობრინსკიმ ძმისწულებითურთ შესწირა 10 ათასი ფუთი დამტვრეული შაქარი მანჯურიის ლაშქრის საჭიროებისათვის.

პარიჟი. ბალტიის ესკადრა გაშლილ ზღვაზე მანევრების შემდეგ ისევ დიეგოსუარეცში გაჩერდა. ესკადრა ნახშირს დაუდებს და სურსათს მოუმატებს.

პეტერბურგი. ოფიციალურად. გამოირკვა, რომ ეგვიპტის ხიდის ჩანგრევის დროს მსუბუქად დაიჭრა ერთი ჯარისკაცი და დაიღრჩვა ერთი ცხენი.

21 იანვარი.

პეტერბურგი. დამატებითი ცნობებით, ხიდის ჩაქცევის დროს მსუბუქად დაიჭრნენ და დაშავდნენ ოთხი ცხენოსანი გრენადიორი და პროგიმნაზიის მოწაფე-ქალი. მიმშველებელთაგან ოთხს ფეხის თითები მოაძრო და ორი მსუბუქად დაიჭრა და დაშავდა. სამი ცხენი დაიღუპა. მიზეზი ის იყო, რომ ცხენოსნებმა გავლის დროს ერთობ შეარყიეს ხიდი. გამოძიება იკვლევს, რომ ნამდვილი მიზეზი გაიგონ უბედურებისა.

მოსკოვი. უნივერსიტეტის საბჭომ ითხოვა, გადაიდოს სწავლა 1 თებერვლამდე.—დაიწყო თავად-აზნაურთა საგუბერნიო კრება. მიძინების ტაძარში გადაიხადეს პარაკლისი. ეპისკოპოსმა ტრიფონმა მიმართა თავად-აზნაურობას სიტყვით, ილაპარაკა გაჭირვებულ მდგომარეობაზე, ომზე, შინაგან ამბებზე და მოუწოდა თავად-აზნაურობას, რომ ამ ჟამად, ვინემ სხვა რომელსამე დროს, საჭიროა მათი ერთგულება, ურჩია მოერიდნენ ქარაფშუტულ გადაწყვეტილებებს, ილაპარაკა, რომ საჭიროა მტკიცედ იყვნენ, როგორც მათნი წინაპარნი, რომელთა ანდერძიც შვილთაშვილამდე გადადის. კრებამ პირველ სხდომაზე გადასწყვიტა მიულოცოს მათ უდიდებულესობათ მემკვიდრის დაბადება. გადაწყვიტეს, დააარსონ ცესარევიჩის სახელობაზე ფონდი სასწავლებლების გასამართავად სოფლებში თავად-აზნაურთა შვილებისათვის.

ჰელსინგფორსი. უმაღლესად ებრძანათ გადაეცეს ერობის მოხელეთა თხოვნა უწინდელ წეს-წყობილების აღდგენის შესახებ სენატს, რომელმაც უნდა შეუთანხმოს თვისი დასკვნა უმაღლესს ნებას, გამოთქმულს სეფე-სიტყვაში სეიმის გახსნის დროს.

ვარშავა. უცხოეთში გავრცელებული ხმა, ვითომ მოჰკლეს ანუ დასჭრეს ვარშავის პოლიცმეისტერი ნოლკენიო, საფუძველს მოკლებულია.

ნიუ-იორკი. შეერთებულის შტატების წარმომადგენელმა ვენეცუელაში ბოუენმა დეპეშა მისწერა ვაშინგტონში და ითხოვა ამ ორ სახელმწიფოს შორის ერთობის შეწყვეტა. შესაძლებელია, რომ ეს ამბავი გამოიწვია კასტროს მოქმედებამ ამერიკელთა წინააღმდეგ. ბოუენი მთავრობას ურჩევს, ზღვაზე დემონსტრაცია მოახდინოს.

პეტერბურგი. შორეულ აღმოსავლეთიდგან 20 იანვარს ოფიციალური ცნობები არ მოსულა.—იუსტიციის მინისტრი მურავიოვი ელჩად დაინიშნა იტალიაში.—სახელმწიფო საბჭოს წევრი, გოფმეისტერი ბულიგინი შინაგან საქმეთა მინისტრად დაინიშნა.

ტოკიო. ოფიციალურად. ოიამა იუწყება, რუსის ძალას 12 და 16 იანვრის ბრძოლის დროს შეადგენდა ციმბირის პირველი კორპუსი, ნარევი კორპუსი, რომელშიაც იყო მეორე და მეხუთე მსროლელთა ბრიგადა, მერვე კორპუსის ნაწილი და 61-ე ციმბირის დივიზიონი. სუ
კი იყო შვიდი დივიზია ერთის ცხენოს
დივიზიით.

ტოკიო. ოფიციალური ცნობები 1
და 16 იანვარს ხეიგოუტაის მიდამოებშ
მომხდარ ბრძოლებისა: იაპონელებს და
ზარალდა 7 ათასი კაცი. რუსი ტყვეე
ამბობენ, რუსებს 10 ათასზე მეტი და
ზარალდათო. რუსებს მიჰქონდათ იერი
იაპონელთა მარცხენა და მარჯვენა ფრთ
ბზე, მაგრამ უკუ აქციეს.

კოპენჰაგენი. ნიბორგში ლოცმანებმ
ბრძანება მიიღეს, რომ მესამე ესკად
ზუნდზედ გაატარონ.

ლონდონი. თუმცა ინგლისის საზო
გადოება კარგის თვალით არ უყურე
რუსეთსა, მაგრამ ზოგიერთი გაზეთებ
აღტაცებით მიეგებნენ ხელმწიფე იმპერ
ტორის სიტყვას, რომელიც მუშათა დ
პუტაციას უთხრა, როგორც აქტს მა
თებლობის სიბრძნისას, მიმართულს ქვ
ყნის საჭიროების საფუძვლიან გასაწესრ
გებლად.

ესსენი. უნახშირობისა გამო ბევრ ქა
ხნებში მუშები დაითხოვეს.

ბერლინი. მემკვიდრე პრინცი მომავა
კვირას იტალიაში მიდის.—ქარიშხლებ
დიდი ზარალი მოუტანა გერმანიას. თ
ვლიანმა ქარ-ბუქმა ბალტიის ზღვის პირა
შეაყენა ფოსტის გემების მიმოსვლა. ბრ
მენის გემი „მინსეიმი“ ლაალანდის ნ
პირს დაიღუპა. თითქმის ყველგან გერმ
ნიაში გაფუჭდა ტელეგრაფი.

ლონდონი ნიუ-იორკიდან ანტვერ
პენს მოვიდა გემი, რომელზედაც იყ
ხუთი წყალქვეშ მავალი დაშლილი ნა
სევასტოპოლისათვის. — ვლადივოსტოკ
მივიდა კარდიფის ნახშირით დატვირთ
ლი ინგლისის გემი „დენარნი“.

სტამბოლი. ოსმალეთის ჯარებმა ა
ყა შემოხსნეს იემენში უმთავრეს ქალა
საკუს. დიდძალი მაშველი ჯარი გაჰგზ
ვნეს მეამბოხეთა წინააღმდეგ.

პეტერბურგი. ოფიციალურად. დეპ
შა გენ. კუროპატკინისა ხელმწიფე იმპ
რატორის სახელზე: 1) 19 იანვრის თა
რიღით: „ღამე, 19 იანვარს, იაპონელებ
მა იერიში მიიტანეს სოფელ ჩანტანხენა
ზე, რომელიც ხუნხეს მარცხენა ნაპი
ზე მდებარეობს. იაპონელებმა დაიჭირ
სოფელი, მაგრამ შემდეგ გამოვდევნეთ დ
დის ზარალითა. ჩვენი ზარალი 100 კა
აღემატება. თუმცა დიდი ყინვებია, მა
რამ კარგის ღონისძიების წყალობით ყი
ვისაგან დაძრული თითო-ოროლაა. მუ
დენის გზით მოიყვანეს, დაჭრილთა გა
და, 133 ტყვე-იაპონელი, იმათში ო
აფიცერია. დღეს ვნახე მუკდენში მყოფ
დაჭრილნი ამ უკანასკნელ ბრძოლებ
დროსა. ისინი მხნედ არიან. კარგად უ
ლიან, ჭრილობა მომეტებულად თოფისა
არის ხიშტითაც“. 2) 20 იანვრის თარ
ღით: „როგორც მოსულ ცნობებიდა
სჩანს, იაპონელებმა შემდეგ ზარბაზნებ
სროლისა მეორედ მოიტანეს იერიშ
ჩვენს მცირე მოწინავე ჯარზე ჩინტანს
თან. დღის 12 საათზე ამბავი მოვიდა
ჩვენმა ჯარებმა, რომელნიც წინად გ
ვიდნენ ამ სოფლიდგან, კვლავ დაიჭ
ლეს ისაო. მხოლოდ რამდენიმე სახლ
იაპონელების ხელში. ჩვენი ზარალი შ
საშჩევი არ არის. სხვა ადვილებზე მშ
დობით ჩაიარა ღამემ“.

ტოკიო. „დეილი ტელეგრაფის“ კ
რესპონდენტი, იაპონიის ერთ-ერთს ლა
ქარში მყოფი, იუწყება 13 იანვარს შ
ხესთან მომხდარ ბრძოლის შესახებ შ
დეგსა: იაპონიის ლაშქარი შეხვდა შიხ
ტაისთან, შახედან 10 მილზე, რუს
ძლიერს რაზმსა. მოჰხდა გააფრთებ
ლი ბრძოლა, რომელმაც ხუთს საა
გასტანა. იაპონელებს მოუკლეს 12 ოფ
ცერი და 32 დაუჭრეს და 2500 ჯარი
კაცი მოუკლეს და დაუჭრეს. რუსის ყვე
ლა იერიშები მოიგერეს. იაპონიის ჯ
რების მდგომარეობა ბრძოლის დროს ს
შინელება იყო. დაჭრილები იხოცებოდნ
სიცივისაგან იმ დრომდე, ვინემ მოეშ
ლებოდნენ.—პორტ-არტურში ნაპოვნ ს
ბუთებიდგან აღმოჩნდა, რომ იაპონელე
მა 22 აპრილს ბიძივოში, დალნის ახლ
200 კაცი გადასხეს რკინის გზის გასაფ
ჭებლად, რომ ადმირალ ალექსეევისათ
ჩრდილოეთად წასასვლელი გზა მოეჭრა
გაიგო თუ არა ალექსეევმა იაპონ
ლების განზრახვა, 12 საათით გაასწრ
პორტ-არტურიდან. იაპონელებმა მხოლო
ხიდი დაანგრიეს და დაბრუნდნენ. რ
სებს ეგონათ, დიდძალი ჯარი გადმოსხ
სო და რკინის გზას ნგრევა დაუწყეს
თვით განაცალკევეს თავი. რუსებს პორ

არტურში 5 ათასი ტორპედი ჰქონდათ, იმათგან იაპონელებმა მხოლოდ 400 იპოვეს.

შანჰაი. ომის დაწყებიდან იაპონელებმა შეიპყრეს 34 კარდიფის ნახშირით დატვირთული გემი. გემებს ერთ მილიონ იენად აფასებენ. ამ ჟამად აქ ორი ათასამდე პორტ-არტურელი რუსია; ისინი კარგად გამოიყურებიან, ეტყობა კარგს საჭმელს აძლევენ; ავადმყოფობა არავის ეტყობა.

ტოკიო. ტყვე-რუსებს ტენგ-ხოიში, სამადერაში და მაცუიამაში ყვავილი გაუჩნდათ. ათასობით უცრიან ტყვეებს ყვავილსა.

კოლომბო. გერმანიის გემი „ლიბენფელსი", რომელიც ბალტიის ესკადრისათვის ნახშირით იყო დატვირთული, კუნძულ ცეილონთან, ბატიკალვას ახლო, დაიღუპა.

22 იანვარი

პეტერბურგი. „გრადონაჩალნიკის ვედომ."-ში დაბეჭდილია სია 119 მოკლულისა და პეტერბურგის საავადმყოფოებში გადაცვლილებისა ჭრილობისაგან 9 იანვარს მომხდარ შეტაკების დროს.

მოსკოვი, 21 იანვარი. მოვიდა შინაგან საქმეთა მინისტრი, რომელსაც ვაგზალზე ქალაქის უფროსი დაუხვდა.

ადესა. ქალთა პედაგოგიურს სადგომში გამოკრულია განცხადება, რომ თანახმად კურსების პროფესორთა და მასწავლებელთა საბჭოს დადგენილებისა, ლექციების კითხვა არეულობით შეჩერებულია ახალს განკარგულებამდე.

ერივანი. შარური-დარალაგეზის მაზრის უფროსის თანაშემწის სკიბინსკის მოკვლა უნდოდათ. ერთი ბოროტ-განმზრახველთაგანი პოლიციის დარაჯმა მოჰკლა, მეორე მიიმალა. სკიბინსკი არ დაჭრილა.

ლონდონი. დიდი მილი, რომლითაც ლივერპულს მიდის წყალი ვალიის ტბებიდან, გასკდა ტარპოლესთან ჩეიშერის ეაკეზე. მთელი წყალი მოედო და სულ ერთიან წალეკა გზები. ადამიანთაგან არავინ დაზარალებულა.—ბევრი გაზეთი ჰკიცხავს მთავრობის ექსპერტთა კომიტეტსა, რომელმაც მოიწონა 12 სანტიმეტრიანი ახალ ყაიდის მოკლე თოფი. „ტაიმსი" ამბობს, მოკლე თოფს ძალა არა აქვს და ვერც შორს მიდის და ჯარის კაცს ხიშტით ბრძოლის დროს უხერხულს მდგომარეობაში აყენებსო. თუმცა სამხრეთ აფრიკაში ხიშტს აგრე რიგად არ ხმარობდნენ, მაგრამ პორტ-არტურთან და მანჯურიაში ბრძოლამ დაგვანახვა, რომ ის ძალიან გამოსადეგი იარაღია ღამის იერიშების დროსაო. ამიტომ „ტაიმსი" სთხოვს მთავრობას, გადასინჯოს კომიტეტის განაჩენი და ინგლისის ჯარის ჯარის-კაცს უფრო კარგი თოფი მისცეს.—დღეს ოფიციალურად დამტკიცდა, მთავრობას ვესტ-ინდოეთი საზღვაო სამხედრო სადგურად აღარ ექნება. მთავრობამ ამას წინად სამი მილიონი გირვანქა სტერლინგი დახარჯა კუნძულ სანტალიუჩიაზე ვერფებისა და სახელოსნოების გასაკეთებლად, რომელსაც ახლა თავი უნდა მიანებოს. „გლობი", რომელიც მტკიცედ იცავს ხოლმე მთავრობის განაჩენებს, ამ გარემოებას დიდ შეცდომად სთვლის.

პეტერბურგი. ოფიციალურად. უქვეშევრდომილესი დეპეშა გენ. კუროპატკინისა ხელმწიფე იმპერატორის სახელზე 21 იანვრის თარიღით: „დღეს ბრძოლის შესახებ ცნობა არ მოგვსვლია. ერთმა ჩვენმა მზვერავთა რაზმმა, ასისთავის სირაჩევის უფროსობით, ლიაოიანიდან რვა ვერსზე რკინის გზის ლიანდაგი აანგრია. 18-დან 20 იანვრამდე მუკდენს მოვიდა 34 აფიცერი და 646 ჯარის-კაცი, დაჭრილებში სულ 27 კაცს ცოტათი მოსძრა ყინვამ".

მოსკოვი. შინაგან საქმეთა მინისტრი თავის მამულში წავიდა.

ხარკოვი. ადგილობრივ სამოსწავლო მთავრობის განკარგულებით, უმაღლესი სასწავლებლები დახურეს მეორე განკარგულებამდე.

ტულონი. რომიდან იტყობინებიან, ნოგი იუწყება, რომ მუშაობა პორტ-არტურის აღსადგენად სწრაფად სწარმოებს და დამთავრდება დაახლოვებით აპრილისათვისაო. ამ ჟამად ციხეს შეუძლიან, როგორიც უნდა იყოს, საზღვაო იერიში მოიგეროს.

ტოკიო. 20 იანვარს იაპონიის მარჯვენა ფრთაზე ცვლილება არ მომხდარა. შუბლის ჯარში კი ძალიანი შებრძოლება მოხდა. რუსები დაეცნენ ცინზიატუნს და დილიდან 20 იანვარს აწვებიან ჯანტანისაკენ. ამ ბრძოლებში რუსებს 700 კაცი დააკლდათ.

23 იანვარი.

პეტერბურგი. ოფიციალურად. უმაღლესის ნების აღსასრულებლად კომიტეტი მინისტრთა შეუდგა მუშათა დაზღვევის საქმის განხილვას და დამთავრებას.

ვარშავა. ლოძსა, ვარშავასა და პეტროკოვის გუბერნიებში გაძლიერებულ დაცვის წესები შემოიღეს.

ლონდონი. „ცენტრალ ნიუს"-ის კორესპონდენტს ლაპარაკი ჰქონია კოლომბოში სტესელთან იმ ტყუილ ამბების გამო, რომელიც „ტაიმსის" პეკინელმა კორესპონდენტმა გაავრცელა. გენერალმა სთქვა: „რა პასუხი უნდა გავსცე მაგისთანა ბრალდებას? უგუნურობა იქნება ამ გვარის ტყუილ ამბების წინააღმდეგ ლაპარაკიო". პოლკოვნიკმა რეისმა, რომელიც სტესელს ახლავს, სთქვა: ციხეში მილიონ ნახევარი კი არა, 12 მანეთის შავი ფული დარჩაო. ათასი ცხენი ზარბაზნების გადასაზიდად გვყვანდა დაზოგილიო. რამდენიმე ასი იაპონელთა აუფეთქებელი ყუმბარა გვქონდა, რომელიც ჩვენ იმათ წინააღმდეგ ვიხმარეთო. შენობები როგორც ძველის, ისე ახალის ქალაქისა, სულ დაზიანებულიყო. ახალის საერთო იერიშის მოგერება შესაძლებელი აღარ იყო და თუნდ ერთის დღით გადადება ციხის დათმობისა საქმეს სულ არევ-დარევდა, ამოსწყდებოდა ხალხი. ციხეში ამ დროს 500 ქალი იყოო.

მუკდენი. იაპონელებმა ამ უკანასკნელ ბრძოლების დრო გაახვიადეს საქმე, ვითომ იმათ გაიმარჯვესო. ჩვენ რამდენიმე სოფელი და იაპონელების წინა პოზიციები ავიღეთ და დღევანდლამდეც იქა ვართ. აუარებელი იერიშები იაპონელებისა მოვიგერეთ. ლიაოიანიდან მოსული ჩინელები ამბობენ, უკანასკნელ ბრძოლებში იაპონელებს 20 ათასი კაცი დააკლდათო.

ლონდონი. „ნაციონალ რევ."-ში დაბეჭდილ წერილში ნათქვამია, გერმანია შობის დღესასწაულების წინ, ცოტა არ იყოს, შეშფოთდა. გერმანიაში მართლა ეშინოდათ, ინგლისთან ომი არ მოგვიხდესო, და მზადებას შეუდგნენ, მაგრამ საქმის გამორკვევის შემდეგ დაშოშმინდნენ.

პარიჟი. საფრანგეთში ხელის მოწერით 70 ათასი ფრანკი მოაგროვეს; სტესელს ხმალი უნდა მიართვან და პორტ-არტურელებს საჩუქრები.

ბუენოს-აირესი. აქ რევოლიუციის მოხდენა განიზრახეს. ბრბო არსენალსა და სხვა ადგილებს დაეცა, მაგრამ შეაყენეს; ხმაა, რომ ორი განდგომილი პოლკი სატახტო ქალაქზე მიდისო. ღონისძიებანია მიღებული.

პეტერბურგი. გენ. კუროპატკინის დეპეშა მის უდიდებულესობის სახელობაზე, 21 იანვრის თარიღით: 1) „ჩვენს მარცხენა ფრთეზე სიასირისა და ციანჩანისაკენ ჩვენმა რაზმებმა მტრის მოდარაჯეებს უკან დაახევინა. იაპონელებმა 49 მოკლული დასტოვეს. გუშინ სოფელ ჩანტანხენთან მომხდარ ბრძოლის დროს ფეხში მსუბუქად დაიჭრა გენერალი დომბროვსკი. დილით ყინვა 25 გრადუსამდეა».

22 იანვრის თარიღით: „22 იანვარს ბრძოლის ველიდან მოხსენება არ მოსულა. ჩვენცა და იაპონელებიც პოზიციებს ვამაგრებთ და ერთმანერთს ხელს ვუშლით".

ტოკიო, 23 იანვარი. ოფიციალური 300 რუსი ცხენოსანი ორის ზარბაზნით, რომელიც 11 იანვრიდან ტენჩეპს (კორეიაში) იდგა, ლენჩინს დაბრუნდა. შახეზე რუსები მოქმედებენ. კანტუშანსა და ლიტიშანთან 20 იანვარს ღამე რუსების ქვეითა ჯარმა იაპონელთა პოზიციებზე იერიში მიიტანა, მაგრამ უკუქცეულ იქმნა. რუსებმა შახეპუსაკენ დაიხიეს.

მოსკოვი. საიმპერატორო ტეხნიკურ სასწავლებელში სწავლა შეჩერდა.

24 იანვარი.

ტოკიო, 23 იანვარი. ხეიგოუტაისთან მოკლულ იქმნა 24 იაპონელი აფიცერი, მძიმეთ დაიჭრა 10, მათ შორის გენერალი ტაკაბე. მსუბუქად დაიჭრა 17. შახესთან ბრძოლაა. იაპონელთა მარცხენა ფრთე კუროპატკინის ჯარს მიაწვა. იაპონელთა მარცხენა ფრთე ხუნხეზე გავიდა და 5 მილით წინ წაიწია. ბრძოლა გაცხარდა. ხეიგოუტაისთან რუსეთის იერიშებს მარტო მერვე დივიზიამ გაუძლო; ამ დივიზიას აუარებელი ჯარი დაატყდა თავსა. ამ რაზმს 162 აფიცერი და 5 ათასი ჯარის კაცი დააკლდა. ორ ალაგას 600 ყაზახმა იაპონელებზე იერიში მიიტანა, მაგრამ უკუქცეულ იქმნა. 12 იანვარს რუსებმა საშინელი იერიში მიიტანეს სოფელ სიომიხოზე, მაგრამ უკუქცეულ იქმნენ.

ტოკიო, 24 იან. გენერალი პაძუმურა ბრძოლის შემდეგ გარდაიცვალა. განსვენებული დივიზიის გენერალი იყო და 203 მეტრიან გორის შტურმის დროს ჯარს უფროსობდა.

პორტ-არტურის აღების შემდეგ რუსებმა კორეიდგან უკან დაიხიეს. იმპერატორმა ტოგო ინახულა. წასვლისას ტოგოს საზღვაო მინისტრმა გამოსამშვიდობებელი სადილი გაუმართა.—აქ ამბობენ, მომავალი ბრძოლა შახეზე ისეთი საშინელება იქმნება, რომლის მსგავსიც უკანასკნელ ხანებში ყოფილაო.

იაპონიის პრესა პროტესტს აცხადებს და სწერს, სისულელეა, ვითომ პეტერბურგის არეულობა იაპონელებმა მოახდინესო.

ტოკიო, 24 იანვარს რუსები საჩქაროდ ამაგრებენ თავიანთ პოზიციებს ჩანშანთან.

დღეს ადმირალი ტოგო თავის შტაბით ტოკიოდან წავიდა.

25 იანვარი.

ტოკიო. სასებოში მოიყვანეს 9 გემი, რომელნიც კონტრაბანდით დაიჭირეს. ერთ გემზე იპოვეს კონტ-ნაღმოსნის ასაშენებელი მასალა.

ტიანძინი, 21 იანვარი. ღალესტნელებმა იაპონელთა ერთი ბატალიონი გაანადგურეს და 300 იაპონელი დაატყვევეს.

ტოკიო. ოფიციალურ მოხსენებაში ნათქვამია, რომ სიონჩინში ყაზახებმა დასწვეს თავიანთი სამი საწყობი სურსათისა.

ტოკიო, 25 იანვარი. იაპონიის მთავარ ბანაკიდან იუწყებიან, რომ პოზიციებზე სიწყნარეაო. კვირა დილით რუსებმა იერიში მიიტანეს იაპონელებზე სანტაიძისთან, მაგრამ უკუქცეულ იქმნენ.

ჰელსინგფორსი, 25 იანვარი. პროკურორის იანსონის მკვლელის ვინაობა აღმოაჩინეს. იგი პასტორის შვილია, სტუდენტად ნამყოფი კარლ ხონენტალი.

პეტერბურგი. ოფიციალური. მინისტრთა კომიტეტმა ბეჭვდითი სიტყვის შესახებ აღიარა, რომ პრესის შესახებ არსებულმა კანონებმა პრესაში აზრის გამოთქმა ძალიან შეაფერხა და ამასთან წინააღმდეგობა ვერ გაუწია მავნე პროპაგანდას. ამის გამო, კომიტეტის აზრით, საჭიროა: 1) ბეჭვდითი სიტყვის შესახებ არსებულ კანონების გადასასინჯავად დაარსდეს ცალკე კომიტეტი, რომელიც უნდა შესდგეს უმაღლესის ნდობით აღჭურვილთა მოხელეებისაგან, სამეცნიერო აკადემიის წევრთაგან, საპატიო აკადემიკოსებისაგან და განთქმულ ლიტერატორთა და პუბლიცისტებისაგან. ამასთან თავმჯდომარეს ნება მიეცეს მოიწვიოს მცოდნე პირები, მათ შორის პროვინციის პრესსიდანაც; 2) ამ კომისიამ შემუშავებული პროექტი პირდაპირ სახელმწიფო საბჭოში უნდა შეიტანოს; 3) გაუქმდეს უმაღლესი ნებართვა, რომლის ძალითა შინაგან საქმეთა მინისტრს ნება ეძლეოდა ამა თუ იმ გაზეთისათვის კერძო განცხადებათა ბეჭდვა აეკრძალა; გაუქმდეს უმაღლესად დამტკიცებული დებულება მინისტრთა კომიტეტის შესახებ მე-12 მუხლსა 6 აპრილის 1865 წლის წესდებისა და უმაღლესად დამტკიცებული დებულება მინისტრთა კომიტეტისა გამოცემის ერთის ხელიდან მეორის ხელში გადასვლის შესახებ და დაფუძნდეს იმის წინად არსებული კანონი; 4) დაიდგინოს: 1) თუ შინაგან საქმეთა მინისტრმა რომელისამე გაზეთის ცალკე ნომრობით გაყიდვა აკრძალა, ეს აკრძალვა შეეხოს მხოლოდ ქუჩებსა, მოედნებსა და რკინის გზის სადგურებზე ვაჭრობას და არ შეეხოს წიგნების მაღაზიებსა და სამკითხველოს კაბინეთებში ვაჭრობას; 2) მინისტრს ნება აქვს რედაქციას მოსთხოვოს დაბეჭდილ წერილის ავტორის გვარი და ვინაობა, როცა ეს საჭირო იქნება. უქვეშევრდომილესად ითხოვოს, რომ ის წიგნები, რომელიც, შინაგან საქმეთა სამინისტროს აზრით, პოლიტიკურად მავნე შინაარსისანია, კომიტეტმა გადასინჯვის შემდეგ გაჰგზავნოს გადასასინჯველად ან სამეცნიერო აკადემიაში, ანაც სხვა რომელსამე სამეცნიერო კოლეგიაში. მიენდოს შინაგან საქმეთა მინისტრს მინისტრთა საბჭოს დებულების გადასინჯვა შესახებ დროებით წესებისა, ცენზურისა და დროებითი ღონისძიებათა შესახებ პერიოდულ გამოცემისა და იმის თაობაზედ, ნება აქვს თუ არა ამა თუ იმ რედაქტორს, ხელის მომწერლებს დაურიგოს სხვა რომელიმე გამოცემა მაშინ, თუ იმის გამოცემა შეჩერებულ იქმნა; 6) საერო განათლების და შინაგან საქმეთა მინისტრეას დაევალოს: გადაათვალიერონ მალოროსიულ ენაზე წიგნების ბეჭდვის შეზღუდვის დებულება. კომიტეტის ეს დადგენილება უმაღლესად დამტკიცდა 21 იანვარს 1905 წ

26 იანვარი.

ყაზანი, 25 იანვარი საბეითალო ინსტიტუტში სწავლა შეჩერდა.

მოსკოვი, 25 იანვარი, უმაღლეს სასწავლებელთა დირექტორები 31 იანვარს შეიკრიბებიან და გადასწყვეტენ, როდის დაიწყოს სწავლა ამ სასწავლებლებში.

პეტერბურგი. უმაღლესის რესკრიპტის ძალით, საერო ბიბლიოთეკის დირექტორი კობეკო დაინიშნა იმ საბჭოს თავმჯდომარედ, რომელმაც ბეჭვდითი სიტყვის შესახებ არსებული კანონმდებლობა უნდა გადასინჯოს. წევრებად დაინიშნენ: სენატორები: ბოროვიკოვსკი, სლუჩევსკი და ზვერევი; ტაინი სოვეტნიკები: ლუკიანოვი, ნიკიტინი, კლიუჩევსკი, კონი და გრაფი გოლენიშჩევ-კუტუზოვი, დეის. სტ. სოვ. არსენიევი, ჟურნალ „გრაჟდანინ"-ის რედაქტორი თ-დი მეშჩერსკი, „კიევლიანინ"-ის რედაქტორი პიხნო და „ნოვოე ვრემია"-ს გამომცემელი სუვორინი.

უმაღლესის ბრძანებით, ვლადივოსტოკის ციხე პირველ ხარისხოვან ციხედ ჩაითვლება ომის განმავლობაში.

სეული. 400 რუსმა ხეირიანიდან უკან დაიხია, 300—ინიანიდან

შანჰაი. აქ 2000-მე მეტია პორტ-არტურიდან მოსული რუსი. 300-იც მოვიდა.

ტოკიო. ფინანსთა მინისტრთან იაპონიის განთქმული ფინანსისტები შეიკრიბნენ.

პეტერბურგი. ვარშავის კომენდანტი გენ.-ლეიტ. ყაზბეგი ვლადივოსტოკის ციხის კომენდანტათ დაინიშნა.

ტოკიო. რუსი ტყვეები ამბობენ, გენ. გრიპენბერგს ცოტათი მაინც რომ გაემარჯვნა, კუროპატკინიც გამოილაშქრებდაო.

პეტერბურგი. ოფიციალური. კუროპატკინის დეპეშა ხელმწიფისადმი, 25 იანვარის თარიღით: „მიღებულ ცნობებით, მარცხენა ფრფედზედ თავგამოდებულნი, ზაურიად-პრაპორშჩიკის კიდინის უფროსობით, მოულოდნელად თავს დაეცნენ ცალკ-ცალკე ჩინურ ქოხებს სოფ. ვაიტოხანის მახლობლად; ეს ქოხები იაპონელთა ყარაულებს ეჭირათ. იაპონელნი გარედ გამოვარდნენ და რუსებმა თოფები დაუშინეს. რამდენიმე იაპონელნი ამოჰხოცეს, ვინც გადარჩა—გაიქცნენ. 25 იანვარს, დილის 3 საათზედ, იაპონელთა სამმა ჯგუფმა ჩვენის შუაგულ ჯარის პოზიციებს შემოუტია, მაგრამ დროზედ შეუტყვეს დარაჯებმა და საათნახევარის სროლის შემდეგ უკუ აქციეს".

27 იანვარი

პარიჟი გაიაშიმ გამოუცხადა მოსაუბრეს, რომ იაპონიაში მტრულად არ უცქერიან ზავის ჩამოგდებას, თუ კი რუსეთსა სურს დაიწყოს მოლაპარაკება გულწრფელად ხელსაყრელ ზავის ჩამოგდებაზედაო. ამ შემთხვევაში ორივე სახელმწიფო ეცდებოდა როგორმე შეთანხმებულიყვნენ ზავის პირობებზედ, მაგრამ რუსეთმა ანგარიშში უნდა მოიღოს იაპონელთა გამარჯვებაო.

ტოკიო. ოფიციალური ცნობა. რუსთა არტილერიის შუაგული რაზმი ორშაბათს ესროდა იაპონელთა სხვა და სხვა პოზიციებს. ორშაბათ ღამეს რუსებისაგან მტერზედ მოტანილი პატარა იერიშები უკუქცეულ იქმნა. რუსები მაგრდებიან ჩენსენაოზა, ხეიგაუტპაისა და სხვა პოზიციებზედ.

ადესა. 27 იანვარს პორტ-საიდს წავიდა «რუსეთის საზოგადოების" გემი „წმინდა ნიკოლოოზი" გენ. სტესელისა, 135 აფიცრისა და 130 ჯარის კაცთა მოსაყვანად. გემი პორტ-საიდს მივა 1-ლ თებერვლისათვის. მოვიდა განკარგულება, რომ გემმა სტესელი და ყველა სხვებიც თეოდოსიაში მოიყვანოს.

ტოკიო. ინგლისის გემი „ეტრი", რომელსაც ვლადივოსტოკისათვის ქვანახშირი მოჰქონდა, დაიჭირეს კუნძულ იეზოს მახლობლად.

ლონდონი, 26 იანვარი. გამოირკვა რომ უკანასკნელ 6 თვის განმავლობაში დიდ-ბრიტანიის სხვა და სხვა ნავთ-სადგურებიდან გამოსულა 12 დიდი გემი, იაპონიისათვის სამხედრო სურსათით და იარაღით დატვირთული, თუმცა ინგლისის მთავრობა ფხიზლად იქცეოდა. ათი მათგანი უკვე მივიდა დანიშნულ ადგილას, ხოლო ორი ჯერ ისევ გზაშია.

ბერლინი, 26 იანვარი. „ნაციონალ ცაიტუნგი" ამბობს, იაპონელები, ალბად, წინ აღარ წაიწევენ და მოუცდიან რუსების შეტევას. იაპონელებმა შეადგინეს მეხუთე ლაშქარი ახლად გამოწვეულ მეორე სათადარიგო ბატალიონებისაგან. ეს ლაშქარიც მარცხენა ფრთედისაკენ გაემართება.

ტოკიო, 26 იანვარი. რუსთა მზვერავი რაზმები მდ. შახეს გასწვრივ კარგად მოქმედობენ და ხშირ-ხშირად უმართავენ მტერს ბრძოლას. დღეს, ომის დაწყებიდგან ერთის წლის შესრულების თავზედ, გაზეთები შეურყეველ სიმტკიცის გრძნობას გამოსთქვამენ და ურჩევენ მთავრობას ომის განგრძობას. მთავრობამ პროტესტი განუცხადა ჩინეთს ერთის აფიცრისა და შვიდის ჯარის კაცის გაქცევის თაობაზედ; ამათ პატიოსანი სიტყვა ჰქონდათ ჩამორთმეული და ისე იყვნენ გაშვებულნი.

გომელი. მთელის დღის თათბირის შემდეგ, სამოსამართლო პალატამ გამოაცხადა რეზოლიუცია ებრაელთა უწესოების თაობაზედ. გაამართლეს 16 ბრალდებული რუსი და 13 ებრაელი. განსაკუთრებულ უფლებათა ჩამორთმევა და ციხეში დაპატიმრება ხუთის თვითა და 10 დღით მიუსაჯეს 12 რუსსა და 12 ებრაელს. უფლებათა ჩამოურთმევლად ციხეში დაპატიმრება მიესაჯათ: ერთს ებრაელ ქალს—2 თვითა და 20 დღით; 4 რუსსა და 6 ებრაელს—20 დღით; დაადგინეს აგრედვე, იშუამდგომლონ უმაღლესს სახელობაზედ, რომ შეუმსუბუქონ პირველ 24 სრულ-წლოვან განსამართლებულს სასჯელი და შეუცვალონ ორის თვით ციხეში დაპატიმრებით უფლებათა ჩამოურთმევლად, ხოლო დანარჩენ 11 მცირე-წლოვანს—2 კვირით დაპატიმრებით შეეცვალოს სასჯელი.

ტოკიო. ლონდონში ხმა გავარდა, რომ ზავის ჩამოგდებას აპირებენო. ამის თაობაზედ გარეშე საქმეთა სამინისტრომ გამოაცხადა,—არავითარი ოფიციალური ცნობა არ მიგვიღია ამ საგანზეო. საზოგადო აზრის თანახმად, არ შეიძლება ზავზედ მოლაპარაკების დაწყება მანამდე, სანამ მუკდენთან ერთი დიდი ბრძოლა არ მოხდება.

ლონდონი. ძლიერ სარწმუნო წყაროებიდგან გაუგია „ცენტრალ ნიუს"-ს, რომ არც ბრძოლის ველის მდგომარეობასა და არც რუსეთ-იაპონიის დამოკიდებულობაში ისეთი არაფერი მომხდარა, რომ გაამართლოს ზავის ჩამოგდებაზედ გავრცელებული ხმები. არც ერთ მეომარ სახელმწიფოსათვის არ მიუციათ წინადადება ზავის ჩამოსაგდებად მოლაპარაკების დასაწყებად.

პარიჟი. 27 იან. მინისტრებმა შეიწყნარეს მთავრობის პროექტი სახელმწიფოდგან ეკკლესიის განცალკევების შესახებ.

ამერიკის კონგრესმა გამოაქვეყნა, რომ რუზველტი ხელ-ახლა აირჩიეს პრეზიდენტად, ხოლო ფერბანკი—ვიცე-პრეზიდენტად მომავალ პირველ მარტიდგანაო.

ბერლინი, 27 იანვარი. გარდაიცვალა ადოლფ მენცელი.

28 იანვარი.

პეტერბურგი. 27 იანვარს შორეულ აღმოსავლეთიდგან ოფიციალური ცნობები არ მოსულა.

იუსტიციის სამინისტროს პირველ დეპარტამენტის დირექტორს ტაინი სოვეტნიკს ხვოსტოვს ებრძანა იუსტიციის მინისტრის ამხანაგად ყოფნა.

შინაგან საქმეთა მინისტრი ბულიგინი 27 იანვრიდგან შეუდგა შინაგან საქმეთა სამინისტროს მართვა-გამგეობას.

მუკდენი, 27 იანვარი. იაპონიის ცენტრალურ ბანკიდგან სესხად მისცეს კორეველებს 20 მილიონი იენი. ამ ფულით სეულში არსდება კორეის ეროვნული ბანკი. დირექტორებად იაპონელებია.

ტოკიო. ოფიციალური. შახეს რაიონში 25 იანვარს რუსები განაგრძობდნენ ჩვენს შუაგულ პოზიციებზედ სროლას. მარცხენა ფრთეზედ რუსები ახალს თხრილებს აკეთებენ.

გაზ. „ნისსი-ნისსი" აცხადებს, რომ ომის დასასრული ჯერ შორსაო. საზოგადო აზრია, რომ ბრძოლა მარტის პირველ რიცხვებში მოხდება. რუსების ჯარები სამხრეთ-აღმოსავლეთ კორეაში სას-

წრაფოდ უკან იწევენ და სწვავენ თავიანთს ნიუზლ-სანოვაგეს.

ტოკიო. იაპონელთა მარცხენა ფრთეზედ მოელიან ხელახალ თავდასხმას.

იაპონიის ეროვნულ დღესასწაულისა გამო 29 იანვარს მიკადომ და მისმა მეუღლემ 10,000 გირვანქა სტერლინგი შესწირეს იაპონიაში დაბრუნებულ ჯარის კაცთა გასამასპინძლებლად. 118 უნტერ-აფიცერს პრაპორშჩიკობა უბოძეს.

ტოკიო. მთავრობას მოლაპარაკება აქვს გამართული ბანკირებთან ახალ სამხედრო სესხის აღების თაობაზედ. იმედი აქვთ, რომ ამ საგანზედ მოლაპარაკებას სასურველი შედეგი მოჰყვება.

პეტერბურგი. კუროპატკინის დეპეშა ხელმწიფისადმი: „28 იანვარს, საღამოს 11 საათზედ, იაპონელებმა შემოგვიტიეს მარცხენა ფრთეზედ, ორის ვერსის მანძილზედ. ჩვენმა თავგამოდებულებმა და ყარაულებმა თოფები დაუშინეს და 1 საათზედ უკუაქციეს. დილის 5 საათზედ 27 იანვარს მტერმა კვლავ შემოგვიტია, მაგრამ 7 საათზედ დილით ხელმეორედ შევაჩერეთ. დაგვიჭრეს 5 ჯარის კაცი. თუმცა ყინვები არა კლებულობს, მაგრამ ჯარის კაცთაგან მხოლოდ თითოოროლა იყინება.

ტოკიო. ხმა დადის, რომ ჩილის მთავრობამ ჯავშნოსანი «კაპიტანი პრატი» იაპონიას მიჰყიდაო.

ბალტიის ესკადრის დასახვედრად ძალიან ემზადებიან. ტალიენვანის ნავთსადგურში ნაღმები ჩააწყეს. პორტ-არტურის ფორტების აღდგენა სწრაფად მიდის წინ. იაპონიამ ინგლისში ოთხი უზარმაზარი ჯავშნოსანი შეუკვეთა. იქვე იაპონიისათვის ამზადებენ ზარბაზნებს, რომელიც 10 მილიონ მანეთად ჰღირს. ნოგის ჯარი იაპონელთა ჯარის მარცხენა ფრთეს შეუერთდა. ამბობენ, როცა დიდი ბრძოლა დაიწყება, გენერალი კამიმურა, რომლის ჯარს აუარებელი საბარო ზარბაზანი აქვს, ეცდება და კუროპატკინს უკან დაწევის გზას მოუჭრისო.

29 იანვარი.

ლონდონი. ერთს კორესპონდენტთან საუბრის დროს გაიაშს უთქვამს მანჯურიის შესახებ, რომ იაპონიას ფიქრადაც არა აქვს მისი შემოერთებაო. დიდი სავაჭრო ინტერესებიო. რომელსაც საფრთხე მოელის რუსეთის მხრივ, რადგანაც რუსები ადრე თუ გვიან თავისდა სასარგებლოდ დიდს ტარიფს შემოიღებდნენ თავიანთ საქონლისათვის,—მტრულ მოქმედებათა მიზეზად გადაიქცევა. თუ გამარჯვება იაპონიას დარჩა, მანჯურია ჩინეთის მფლობელობის ქვეშ ღია იქნება მსოფლიო ვაჭრობისათვის და მაშინ ყველას შეძლება მიეცემა განავითაროს მანჯურიაში თავისი სავაჭრო ინტერესები.

ლონდონი, 9 იანვარი. ამერიკიდან დაჟინებული ხმები მოდის, რომ იქ ჩუმი მოლაპარაკებაა გამართული ზავის პირობების შესახებ, ვითომ იაპონია დიდ საზრუნავშია, დაუყონებლივ ზავი ჩამოვარდესო. ლონდონიდგან ირწმუნებიან, რომ იაპონია სცდილობს, — ინგლისმა იკისროს უზრუნველყოფისათვის რუსეთის თავდასხმისაგან ოცის წლით.

შანჰაი, 28 იანვარი. პორტ-არტურიდან მრავლად მოდის ხალხი შანჰაის. მომეტებული ნაწილი ხელოსნებია, რომელთაგან ბევრს სახლობაც თან მოსდევს.

500 აფიცრის დენშჩიკებს სალი შეხედულობა აქვთ. საბრალონი სიცივეში გადმოსხეს და არავითარი ზომა არ იქმნა მიღებული მათ დასაბინავებლად. მოსულნი დიდს მოთმინებას და სიმხნევეს იჩენენ.

ლონდონი, 29 იანვარი. ტოკიოდან მიღებულია შემდეგი ოფიციალური დეპეშა: იაპონელთა რაზმმა დაიჭირა 27 იანვარს დილით მნიშვნელოვანი მაღლობი სოფელ შანშიშუის სამხრეთით. რუსის ქვეითა ჯარმა უკან დაიხია და თან წაიღო დახოცილნი და 10 დაჭრილი. შუადღის შემდეგ რუსები ესროდნენ ზოგიერთს ალაგებს იაპონელთა შუბლის ფრონტზე. 28 იანვარს ყუმბარებს ესროდნენ იაპონელთა პოზიციებს შაპოპატოსა და სხვა ადგილებიდან. გაიაშიმ შემდეგი დეპეშები მიიღო: „ოიამა იუწყება, რომ 28 იანვარს იაპონელებმა მიწას მიაბარეს ხეიგოუტაის მახლობლად 2,000-მდის მოკლული რუსიო.

რეველი, 25 იანვარი. გემი „ნაიადენი“ 3,500 ცალ ბამბითა და სპილენძით დატვირთული ბრემენიდან რეველის გზაში დაზიანდა და ჩაიძირა. ტვირთის ღირებულება ნახევარ მილიონია. ეკიპაჟი გადარჩენილია.

მოსკოვი, 28 იანვარი. საგუბერნიო მარშლის არჩევნები უნდა მომხდარიყო. თ. ტრუბეცკოიმ კენჭის ყრაზე უარი განაცხადა. გრაფმა შერემეტიევმა და სხვა დასახელებულმა კანდიდატებმაც უარი სთქვეს. მაშინ დეპუტატთა საკრებულოს სახელით რიუმინმა გამოაცხადა, რომ გუბერნიის მარშლის არჩევნები გადადებულ იქმნება უფრო მოხსენებულ დროისთვის, როდესაც შესაფერი კანდიდატი აღმოჩნდებაო.

პეტერბურგი. უმაღლესი ბრძანება. ხელმწიფე იმპერატორმა 20 იანვარს ბრძანა: დამოუკიდებლად უმაღლესის ბრძანებისა ამ ჟამად წარმოებულ მინისტრთა კომიტეტში საზოგადო ღონისძიებათა განსჯისა მუშათა ყოფა-ცხოვრების მოსაწესრიგებლად ფაბრიკა-ზავოდებში, დაარსდეს სახელმწიფო საბჭოს წევრის, სენატორის დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკის შიდლოვსკის თავმჯომარეობითა განსაკუთრებული კომისია, პეტერბურგის და მის მიდამოების მუშათა უკმაყოფილების მიზეზთა გამოსარკვევად და ზომების გამოსაძებნად, რომ შემდეგისთვის ამგვარი ალარაფერი განმეორდეს. კომისია უნდა შესდგებოდეს დაინტერესებულ უწყებათა წარმომადგენელთაგან, რომელთაც თავმჯდომარე დანიშნავს სხვა მინისტრებთან შეთანხმებით, მრეწველ თაწარმომადგენელთაგან და მუშათაგან, რომლებსაც თვით მუშები აირჩევენ. კომისიის თავმჯდომარეს მიეცეს უფლება დამოუკიდებლად შევიდეს უქვეშემრდომილესის მოხსენებით კომისიის საქმეების შესახებ და მოიწვიოს კომისიის სხდომებზე ისეთნი, რომელიც სასარგებლონი იქნებიან საქმის განსჯის დროს, აგრეთვე შემუშავებულ იქმნას რიცხვი და მრეწველთა და მუშათა ამორჩევის წეს-რიგი.

ომსკი, 30 იანვ. გამოცხადებულია, რომ ომის საზღვარზე გაუშვებენ მხოლოდ იმას, ვისაც მოწმობა ექნება, რომ ჯარში აუცილებელი საქმე აქვს.

ლონდონი. მეფემ რუსეთის ელჩი ინახულა. ზავის შესახებ ლაპარაკი არ ყოფილა. მეფე ძალიან დაინტერესებული იყო რუსეთის იმპერატორის ჯანმრთელლობით და პეტერბურგის საქმეებით.

ყაზანი. საგუბერნიო ერობამ დაადგინა. მცხოვრებთა ეკონომიურ გაუმჯობესობისათვის ვიშუამდგომლოთ, რომ ერობას ნება მიეცეს მცხოვრებთ იურიდიული დახმარება აღმოუჩინოს ხოლმე.

საღამოს დეპეშები.

31 იანვარი.

პეტერბურგი. 30 იანვარს შორეულ აღმოსავლეთიდგან ოფიციალური ცნობები არ მოსულა.

რადგანაც გაზეთი «ნაში დნი» თავისას არ იშლის და მაინე მიმართულებას განაგრძობს, შინაგან საქმეთა მინისტრმა დაადგინა გამოეცხადოს მეორე გაფრთხილება.

ტოკიო. ფინანსთა მინისტრმა ინახულა ფინანსისტები მინისტრმა მიუთითა იმაზედ, თუ როგორ განვითარდა იაპონიის ეკონომიური გავლენა, ხოლო ეს გავლენა ომის მეოხებითაა. მინისტრმა სთქვა, აუცილებლად უნდა ვისარგებლოთ ამ ჩვენთვის საკეთილო გარემოებითაო, და დასძინა, რომ იაპონიის ფინანსები ძალიან კარგს მდგომარეობაშიაო. გასულის წლის განმავლობაში სამხედრო ხარჯები იყო 50,000,000 გირვანქა სტერლინგი, მაგრამ სამაგიეროდ ქაღალდის ფულის გამოცემა არასოდეს არ გადასცილებია 25 მილიონსაო; ამ ფულიდგან 5,000,000 კორეასა და მანჯურიაშია ხმარებაშიო. შინაური ხმარება ქაღალდის ფულისა ჩვეულებრივს ნორმას არ გადასცილებია. სახელმწიფო ფონდებიც შეურყევლადაა. მინისტრმა მიულოცა იაპონიას ფინანსიურ და ეკონომიურის მხრით ასე საუცხოვო გარემოებაში ყოფნა.

იაპონიის პრესსა თხოულობს, რომ აუცილებლად უნდა განახლდეს ინგლის-იაპონიის კავშირიო.

ტოკიო, 30 იანვარი. ოფიციალური. სხვა და სხვა მხარეებზედ რუსების მიერ მოტანილი მცირე იერიშები იაპონელებმა უკუ-აქციეს. ღამით 29 იანვარს და მეორე დილით რუსებმა ყუმბარები დაუშინეს იაპონიის შუბლის მარჯვენა და მარცხენა ფრთეების პოზიციებს, უანშენძისა და ლიდიატუნის მახლობლად რუსები განუწყვეტლივ თხრილებსა სთხრიან.

28 იანვარს იაპონელებმა შეიპყრეს გერმანიის გემი, რომელსაც სამხედრო სურსათი მიჰქონდა ვლადივოსტოკს.

შანჰაი. დალნიში სამოქალაქო მართვა-გამგეობა შემოიღეს, რადგანაც იაპონელებმა ეს ქალაქი შეინერჩუნეს ომის შემდეგ.

პარიჟი. ფრანგი ჰაერში მოსიარულები ფავი და ლატამე 6 საათის განმავლობაში ჰაეროსტატით ლონდონიდან პარიჟში მოვიდნენ.

ტოკიო. დღეს, ინგლის-იაპონიის ხელშეკრულობის დადების წლის თავზედ, კამურამ გამართა ბანკეტი, რომელსაც დაესწრო ტოკიოში მყოფი ინგლისის ელჩი მაკდონალდი.

პეტერბურგი. გენ. კუროპატკინის დეპეშა ხელმწიფისადმი, 30 იანვრის თარიღით: „29 იანვარს, ნაშუაღამევის 4 საათზედ, იაპონელთა ცხენოსანი რაზმი, ასე 300 კაცამდე, თავს დაესხა რკინის გზის ხიდს ფანძიატუნის სადგურის მახლობლად, კუანჩენძისა და გუნჯულინის სადგურებს შუა, და დააზიანეს რკინის გზის ლიანდაგი ხიდზედ 15 საჟენის სიგრძეზედ. რამდენისამე ხნის შემდეგ მატარებელთა მიმოსვლა აღდგენილ იქმნა. 29 იანვარს მტრის ქვეითა ჯარის ნაწილებმა შემოუტია ჩვენს პოზიციას ფუძიაჯუასთან. ჩვენმა მორიგე დარაჯებმა თოფები დაუშინეს, შეაჩერეს და მტერი იძულებული შეიქმნა უკან დაეწია. ამავე დღეს მტერმა ციხის სანგრევი ბატარეიები დაუშინა პუტილოვის გორაკსა და სოფელ სახეიანს. ერთის ყუმბარისაგან მოკლულ იქმნა პორუჩიკი სტიჩინსკი და დაიჭრნენ პოდპოლკოვნიკი როსტოვცევი, შტაბს-კაპიტანი ნევდაჩინი და შტაბს-კაპიტანი კარპოვი, უკანასკნელი მსუბუქად. შემოწმებულ ცნობებით, ჩვენ 12-დგან 16 იანვრამდე ტყვედ წამოვიყვანეთ 221 ჯანმრთელი და 122 დაჭრილი იაპონელები“.

დროებით რედაქტორი ზრ ყიფშიძე
გამომცემელი ა. სარაჯიშვილი

გამოსადეგი ცნობანი

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

ამ წლის 15 ოკდომბრიდან.

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში—ტფილისისა).

ა) ტფილისიდგან მიდის:

ბაქოს: 1) სწრაფი № 20 (მარტო სამშაბათობით) ნაშუადღევის 5 ს. 21 წ. (6 ს. 19 წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 5 ს. 40 წ. (6 ს. 38 წ.); 3) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 44 წ. (8 ს. 42 წ.); 4) საქონლისა, და სამგზ. № 18 ღამის 10 ს. 22 წ. (11 ს. 22 წ.).

ბათუმს: 1) საფოსტო № 3 ნაშუადღევის 4 ს. 20 წ. (5 ს. 18 წ.); 2) სამგზავრო № 5 დილის 6 ს. 29 წ. (7 ს. 27 წ.).

ერევანსა და ყარსს: 1) საფოსტო № 74/75 ღამის 11 ს. 55 წ. (12 53 წ.); 2) საქონლ. სამგზ. № 90/91 ნაშუადღევის 10 ს. (10 ს. 58 წ.).

ბორჯომს: სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევის 2 ს. 40 წ; (3 ს, 38 წ:).

ტფილისში მოდის:

ბაქოდან: სწრაფი № 19 (მხოლო პარასკევს) ნაშუადღევის 2 ს. 26 წ. (3 ს. 24 წ.); საფოსტო № 3 ნაშუადღევის 3 ს. 03 წ. (4 ს. 01 წ.); სამგზავრო № 5 დილის 5 ს. 56 წ. (6 ს. 54 წ.); საქ. და სამგზ. № 17 საღამოს 11 ს. 38 წ. (12 ს. 36 წ.).

ბათუმიდან: საფოსტო № 4 საღამოს 4 ს. 56 წ. (5 ს. 54 წ.); სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 10 წ. (7 ს. 59 წ.).

ერევან-ყარსიდან: საფოსტო № 76/77 დილის 5 ს. 35 წ. (6 ს. 33 წ); საქონლის სამგზ. № 92/93 ნაშუადღევის 3 ს. 50 წ. (4 ს. 48 წუთ.).

ბორჯომიდან: სამგზავრო № 8/7 დილის 6 (6 ს. 58 წ.).

ბ) ბაქოდან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ ერთხელ კვირაში) ღამის 1 ს. 15 წ. (2 ს. 13 წ.); 2) საფოსტო № 3 საღამოს 7 ს. 48 წ. (8 ს. 50 წ.); 3) სამგზ. № 5 შუადღის 12 ს. 40 წ. (1 ს. 38 წ.); 4) საქ.-სამგზ. № 17 დილის 5 ს. 40 წ. (6 ს. 38 წ.)

გ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) საფოსტო № 4 დილის 4 ს. 36 წ. (5 ს. 34 წ.); 2) სამგზავრო № 6 საღამოს 6 ს. 05 წ. (7 ს. 03 წ.).

დ) ქუთაისიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) სამგზავრო № 51 ღამის 12 ს. 05 წ. (1 ს. 03 წ.); 2) სამგზავრო № 53 დილის 8 ს. 25 წ. (9 ს. 23 წ.); 3) სამგზავრო № 55 ნაშუადღევის 2 ს. 20 წ. (3 ს. 18 წ.); სამგზავრო № 57 საღამოს 6 ს. 20 წ. (7 ს. 18 წ.).

სახალხო ბიბლიოთეკები

„წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისა ტფილისში:

1. სასახლის ქუჩაზე, თავ.-აზნაურობის ქარვასლაში
   ღია არის დილით 10—2 საათ.
   „ „ საღამ. 5—7 „
   კვირა-უქმე—დილ. 11—1 „
2. ნაძალადევში, ვოდოპროვოდის ქუჩა, № 131.
   ღია არის დილით 10—2 საათ.
   „ „ საღმ. 5—9 „
3. ოლგას ქუჩაზე, სახლი № 19.
   ღია არის დილით 10—2 საათ.
   „ „ საღამ. 5—8 „

КАКАО ВАНЪ-ГУТЕНА
Какао
Ванъ-Гутена

მომღონიერებელი სასმელი **ლაშქრისა და ფლოტისათვის,**
აგრეთვე სასარგებლო სახმარი საველე ქსენონებსა და **წითელის ჯვრის** სავადმყოფოებში,
როგორც ავადმყოფთა გამაჯანმრთელებელი სასმელი.
ერთ გირვანქიდგან გამოდის 100 ფინჯანი.
Фабриканты C. J. van Houten & Zoon, Weesp (Голландія)

(2—1)

ნამდვილი მაისის ბალზამი

დეისტ. სტ. სოვ.-ის ქვრივის ა. პ. კოროსტოვცევას სიკვდილის შემდეგ, რომელიც ამზადებდა და ჰყიდდა ნამდვილ მაისის ბალზამს და რომელიც სცხოვრობდა პეტერბურგში, ობუხოვის ხიდთან, სახ. ალექსანდროვისა № 109/14, ბინა 12, ამ საქმეს განაგრძობს იმისი ქალი ელენე იაკობის ასული კოროსტოვცევა (ქმრის გვარი გრ. სეჩენი), რომელიც სცხოვრობს იქვე. ბალზამი ეხლა იყიდება წინანდელ ადგილის პირდაპირ, საკუთარ სახლში, ობუხოვის ხიდზე, 111/15, ბინა 12. ბალზამი გაიგზავნება ფას-დადებით. ერთი შუშა გაგზავნით ჰღირს 1 მ. 40 კ.; 12 შუშა—12 მან.; 6 შუშა—6 მან., პატარა შუშა—50 კ. (3—მეტც.—2)

ყოველ-კვირეული ჟურნალი

✱მოგზაური✱

(წელიწადი მეხუთე—პირველი)

გამოვა 1905 წელს 16 იანვარიდან ვრცელის პროგრამით

ჟურნალში მონაწილეობას მიიღებენ: ფ. მახარაძე, ივ. გომართელი, ნ. ელიავა, ი. ევდოშვილი, ი. კვიცარიძე, ნ. კალანდაძე, ლალიონი, გ. მარმალაძე, ყვირილელი, კ. ჯაფარიძე, ა. წულუკიძე, გ. წულუკიძე და სხვები.

ჟურნალის ფასი გაგზავნით რუსეთის ქალაქებში:

ერთის წლით—5 მან., ნახევარის წლით—3 მან., ცალკე ნომერი – სამი შაური. წლიურის ფასის შემოტანა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება. ხელის მოწერა მიიღება ტფილისში: „მოგზაურის“ რედაქციაში (რეუტოვის ქუჩა, № 21) და წერა-კითხვის საზ. მაღაზიაში შიო ქუჩუკაშვილთან, ქუთაისში—ის. კვიცარიძესთან, ჭიათურაში – ირ. დეკანოზიშვილთან, სამტრედიაში—ყარამან ნანეიშვილთან, ხონში—ექიმ კიკალიშვილთან. რედაქცია იმყოფება რეუტოვის ქუჩაზე სახლი 21. ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція «МОГЗАУРИ».

რედაქტორ-გამომცემელი ი. შ. **როსტომაშვილი.**

საყმაწვილო ნახატებიანი ჟურნალი

„ჯეჯილი“

წელიწადი მეთექვსმეტე

გამოვა 1905 წელსაც თვეში ერთხელ. ჟურნალში ორი განყოფილებაა: პატარებისთვის და მოზრდილთათვის.

„ჯეჯილში“ მონაწილეობას მიიღებენ ყველა ჩვენი საუკეთესო მწერლები.

რედაქციასთან დაასებული კომისია ყოველ ღონისძიებას ხმარობს ჟურნალის გასაუმჯობესებლათ.

რედაქცია ეცდება ხშირათ ჩაურთოს «ჯეჯილის» ნომრებში ნახატები ფერადის წამლებით და აგრეთვე შეძლებისამებრ მისცეს პრემიათ სხვა და სხვა სასიამოვნო და სასარგებლო წიგნაკები.

ჟურნალი «ჯეჯილი» მიღებულია ტფილისის საეპარქიო და კავკასიის ოლქის სამოსწავლო საბჭოებისაგან სასწავლებლების სამკითხველოებში საკითხავათ.

ჟურნალი «ჯეჯილი» ტფილისში დატარებით ღირს 4 მან., ტფილისს გარეშე გაგზავნით 5 მან., ნახევარის წლით 2 მან. 50 კ., ცალკე ნომერი 50 კაპ.

ხელის მოწერა მიიღება:

1) **ტფილისში**—«წერა კითხვის გამ. საზოგადოების» კანცელარიაში (Дворцовая ул, д. Груз Двор., № 101), და თვით «ჯეჯილი»-ს რედაქციაში (Артиллер. ул. № 5, возлѣ Кадетскаго корпуса)

ფოსტის ადრესი: *Въ Тифлисъ, въ редакцію грузинскаго дѣтскаго журнала „Джеджили“.*

რედაქტორ-გამომცემელი ან. თუმ.-წერეთლისა.

ახალი საყმაწვილო ჟურნალი

„ნაკადული“

სურათებით

გამოიცემა მცირე-წლოვან და მოზრდილ ყრმათათვის

თვეში სამი წიგნი: ორი მცირე წლოვანთათვის და ერთი—მოზრდილთათვის, პედაგოგიურ ფურცლის დამატებით.

წელიწადი იანგარიშება 1 ნოემბრიდან 1 ნოემბრამდე.

ჟურნალის ფასი: ერთად ორივე გამოცემა ღირს წელიწადში 5 მან., ცალკ-ცალკე 3 მან., ნახევრის წლით ორივე გამოცემა 2 მან. 50 კაპ.; ხელის მომწერს შეუძლიან თვეში თითო მანეთიც შემოიტანოს. ფასი თითო ნომრისა: მოზრდილთა ჟურნალი—25 კ., მცირე-წლოვან ყრმათა—15 კ.

რედაქცია იმყოფება ალექსანდროვის ქუჩ., № 5. სახლი პოპოვისა, სადგომი მარიამ ივანეს ასულის დემურიასი.

ხელის მოწერა მიიღება: რედაქციაში, „წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების“ კანცელარიაში და ჟურნალის აგენტებთან.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція журнала „НАКАДУЛИ“.

Дозволено цензурою, Тифлисъ, 31 января, 1905 г.
Типографія Т-ва „ТРУДЪ“, Фрейлинская № 5.